# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 23 დეკემბერი 2005 №295 (2618) ფასი 50 თეთრი


# ცაა ვაა?!

## ფეხბურთის ფედერაციას გენეტიკური შეეცვალა



გუშინ გაიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა, რომელსაც საინტერესო ამბების გარეშე არ ჩაუვლია, მაგრამ...

ჯერ ის ვთქვათ, რომ ფედერაციის გენერალურ მდივნად გრიგოლ ცაავას ნაცვლად დაინიშნა უჩა უგულავა — კაცი, რომელსაც ფეხბურთთან აქამდე მხოლოდ სამოყვარულო დონეზე ჰქონია შეხება; სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარე გახდა ამირან კაჭახიძე, ვინაც ამ თანამდებობაზე ანატოლი მილჩენკო შეცვალა და, როგორც ჩანს, შეიცვლებიან ამ კომიტეტის სხვა წევრებიც.

კიდევ? დანარჩენი პრესკონფერენციაზე უნდა გაგვეგო, მაგრამ...

**40-წუთიანი ამაო ლოდინის შემდეგ, როცა არ გამოჩნდა ის, ვისაც უნდა ეთქვა, როდის დაიწყებოდა პრესკონფერენცია, ჟურნალისტთა უმეტესობამ დემონსტრაციულად დატოვა ფედერაციის შენობა**

## ქართული ფეხბურთი მზითვებში არავის რგებია, საქმეს კეთება უნდა!



**მოდით, ერთად ვაკეთოთ**

ინტერვიუ ამირან კაჭახიძესთან

2



**ინტერვიუ ვამპირთან**

სამუელ ეტოო ბარსელონაზე და არა მხოლოდ...

9



**ცქიტიშვილი ადგა**

ყინული დაიძრა, ბატონებო!

13

# ტოპმიოლერის თითქმის ჰო

ჰერ კლაუსის შემონათვალი: კონტრაქტში მცირე ცვლილებებიც და თანახმა ვარ



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტოპმიოლერის თითქმის ჰო



**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობასა და კლაუს ტოპმიოლერს შორის გუშინაც გაიმართა სატელეფონო საუბარი და ჰერ კლაუსსაც შემოუთვლია, შემოთავაზებაში ცვლილებები შევიტანოთ და თანახმა ვარ, საქართველოს ეროვნული ნაკრები ჩავიბაროო.

ამის თაობაზე ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ დიმიტრი რამიშვილს ვთხოვეთ კომენტარი...

„ტოპმიოლერთან მოლაპარაკებები რომ დავიწყეთ, მაშინაც ახლოს ვიყავით შეთანხმებასთან, მაგრამ ბოლოდროინდელმა მოლაპარაკებებმა კიდევ უფრო რეალური გახადა ის, რომ ტოპმიოლერი საქართველოს ნაკრების მწვრთნელი გახდება, თუმც, ცხადია, კონტრაქტზე ხელმოწერამდე გადაჭრით ვერაფერს გეტყვით" — გვითხრა რამიშვილმა.

**დავით თავართქილაძე**

# შოთა ვარსკვლავებთან ვერ ჩავიდა



**გუშინ** დიუსელდორფში საქველმოქმედო მატჩი გაიმართა — აქეთ ზინედინ ზიდანის ნაკრები, იქით რონალდოსი. ამ შეხვედრაში ალკმაარელი შოთა არველაძეც იყო მიწვეული, მაგრამ ჩვენებური დიუსელდორფში ვერ ჩავიდა — გუშინწინ, ჰოლანდიის თასის მერვედფინალში „ნაიმეგენთან" მატჩში დაშავდა, კუნთი დაეჭიმა.

25 დეკემბერს ჰოლანდიის ჩემპიონატის ლიდერი „ალკმაარი" თავის უშუალო კონკურენტ „ფეიენოორდს" ხვდება და შესაძლოა, არველაძემ ის მატჩიც გამოტოვოს.

**ნიკა ჯორჯაძე**



„კი არ ვითხოვ, მოვითხოვ, რომ ჟურნალისტები ჩვენთან ერთად იყოთ. თქვენ გარეშე არც ერთ სერიოზულ გადაწყვეტილებას არ დავამტკიცებთ. გამჭვირვალობა ჩემი უპირველესი პრინციპია" — გვითხრა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო-საინსპექციო კომიტეტის ახალმა თავმჯდომარემ ამირან კაჭახიძემ, რომელიც გუშინ დამტკიცდა ამ თანამდებობაზე ანატოლი მილჩენკოს ნაცვლად. თავად მილჩენკო კი მსაჯთა აკადემიის რექტორად იმუშავებს. ამირან კაჭახიძემ იმ ცვლილებებზეც გვითხრა, რომელიც სამსაჯო-საინსპექციო კომიტეტში სულ მალე მოხდება...

# მოდით, ერთად ვაკეთოთ

## ამირან კაჭახიძე: ვითომ ყველანი თავმჯდომარეები ვართ

— ჩემი უპირველესი პრინციპებია, კომიტეტის საქმიანობა გამჭვირვალე იყოს, ასევე წარმოვაჩინო ახალგაზრდა მსაჯები და ლაინსმენი გოგონები. ჯერ საათების დანიშნული ვარ. ამ თანამდებობაზე და ერთი თვე მაინც დამჭირდება, რათა საბოლოოდ ჩამოვყალიბდე.

— **გამჭვირვალობაში რა იგულისხმება?**

— ჟურნალისტები მაქსიმალურად იქნებით ჩახედულნი ჩვენს საქმიანობაში. კარგი გაგებით მოვითხოვ, რომ ყველა საკითხი თქვენი თანდასწრებით გადაწყდეს. ასე ვთქვათ, მე კი ვარ თავმჯდომარე, მაგრამ ვითომ ყველანი თავმჯდომარეები ვართ — ერთად ვიმუშაოთ, შენიშვნები გავითვალისწინოთ.

— **ალბათ, სამსაჯო კომიტეტში ცვლილებებიც იქნება. ხომ არ შეგირჩევიათ თქვენი მოადგილეები?**

— მსაჯთა კომიტეტის ამჟამინდელ წევრებს ხელშეკრულება თვის ბოლოს უმთავრდებათ. მათი ამ თანამდებობაზე დატოვება არ იგეგმება, უფრო ენერგიული, უცხო ენების მცოდნე პიროვნებების მოყვანა გვსურს. საამისოდ კონკურსი ჩატარდება. ჯერჯერობით არ გადამიწყვეტია, ვინ იქნებიან ჩემი მოადგილეები.

— **ახალგაზრდა მსაჯები აქამდეც ხომ იყვნენ?**

— იყვნენ და მე სულაც არ ვაკნინებ ანატოლი მილჩენკოს ღვაწლს, მაგრამ ახლა უფრო მეტი ნდობა და გამჭვირვალობა იქნება კომიტეტში. ყველა მცოდნე ახალგაზრდა მსაჯს უნდა მიეცეს შანსი. და კიდევ, ყოველგვარი ეჭვი და თაღლითობის ალბათობა რომ გამოირიცხოს, მეორე წრის ყველა მატჩზე მსაჯები ახლავე დამტკიცდებიან. ეს იმიტომ, რომ კაცმა არ იცის, ათი ტურის შემდეგ „ვიტ ჯორჯია" ან „სიონი" რომელ ადგილზე იქნებიან. მერე რომ არ იყოს ლაპარაკი, ეს მსაჯი არ მაწყობს და სხვა დამინიშნეო. ოღონდ, სამეორეწრეოდ მსაჯები ბრმად კი არ დაინიშნებიან, კლუბების ხელმძღვანელობას შევხვდებით და ყველას აზრს მოვისმენთ. რაც მთავარია, ეჭვების გასაფანტად მასმედიასაც დავასწრებთ ამ პროცესს.

**ილია ნანობაშვილი**

# ლოკომოტივის შედეგი ხარისხი გახდება

## სოსო სირაძე: ნულიდან არ ვიწყებ

*თბილისის „ლოკომოტივში" მომხდარმა ამბებმა ნათლად დაგვანახვა, რომ ქართული ფეხბურთი შავ დღეშია და ამის თავიდათავი უფულობიდან მოდის. აბა, ახლა „ლოკომოტივის" დაშლა იქნებოდა?!*

*კლუბი დარჩა, მაგრამ 10 ფეხბურთელის წასვლის შემდეგ რკინიგზელებს ახლიდან უწევთ საქმის დაწყება...*

*ვაკელთა ახალი მთავარი მწვრთნელი სოსო სირაძე იმედიანადაა, ჭაბუკებს გზას მივცემთ და ორ-სამ წელიწადში დაღვინდებიანო...*

— ათი ფეხბურთელი უკვე წავიდა და, როგორც იცით, რამდენიმე მათგანმა გუნდი უკვე მოძებნა. „ლოკომოტივში" დარჩნენ დაჩი ფოფხაძე, გიორგი თავბერიძე, ლევან ფურთუხია, გიორგი ჩივაძე, გიორგი კახელიშვილი, გიორგი ალავერდაშვილი, გიორგი ყიფიანი და ბრაზილიელი რამონი. „ლოკომოტივი 2"-დან გადმოვიყვანეთ ორივე მეკარე — ჩალაძე და ლომიძე, ასევე, ებრალიძე, ხორგუაშვილი, ჟღენტი და ობგაიძე.

— **ეს უკვე სრული სიაა?**

— ბოლნისიდან „სიონიდან" დავიბრუნეთ ნახევარმცველი ზურაბ ავალიანი. გარდა ამისა, ძალიან კარგი ბავშვები არიან „ლოკომოტივის" 1990 წელს დაბადებულთა გუნდში და სამ მათგანს, ყენიას, ბუდალაშვილს და მიქაძეს ნელ-ნელა შევაჩვევთ მთავარ გუნდს. ერთი სიტყვით, მთლიანად ჭაბუკებზე ავიღებთ აქცენტს, სხვა კლუბებიდან ვერავის დავიმატებთ.

— **კახელიშვილისა და ალავერდაშვილის დატოვება როგორ მოახერხეთ? მათ ხომ რამდენიმე კლუბი ეპატიჟებოდა...**

— ჩვენ მათ ვესაუბრეთ და ავუხსენით მდგომარეობა, ძალიან არავინ დაგვიტოვებია „ლოკომოტივში". როდესაც კახელიშვილი და ალავერდაშვილი გუნდში მოვიდნენ, მათ გამოცდილი ფეხბურთელები გვერდში დაუდგნენ. ახლა კი პირიქით, ამ ბიჭებმა უნდა მისცენ მაგალითი გამოუცდელებს.

— **ამ სეზონში „ლოკომოტივს" ლიდერთა ჯგუფში დარჩენა გაუჭირდება. გუნდის მიზანი მხოლოდ ახალგაზრდა ფეხბურთელების დაღვინება იქნება?**

— შედეგი მართლაც ძნელი მოსათხოვია. ჩვენი გავარდნა წარმოუდგენელია, ამიტომაც უფრო ლაღად ვითამაშებთ, უპირველეს ყოვლისა, იმაზე ვიმუშავებთ, რომ ხარისხი დავხვეწოთ და გამართული ფეხბურთი ვითამაშოთ. ამ ბიჭების მომავლისა რომ არ მჯეროდეს, მწვრთნელობაზე არც დავთანხმდებოდი.

— **როდის და სად იწყებთ შეკრებას?**

— ჯერჯერობით გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გვქონდა ფეხბურთელებთან. 5 იანვარს ვიკრიბებით, 17-27 იანვარს ლიკანში წავალთ, მერე თბილისში დავბრუნდებით და ვეცდებით, რაც შეიძლება, მეტი ამხანაგური თამაში გავმართოთ. ალბათ, სომხეთში ან აზერბაიჯანში წავალთ ერთი ან ორი კვირით.

**ილია ნანობაშვილი**

### ესპანეთი

პრიმერადივიზიონი
XVII ტური

ოსასუნა : ატლეტიკო გვიან დამთავრდა

სეგუნდადივიზიონი
XVIII ტური

ეიბარი 0:3 ლორკა

კასტელიონი 2:0 უელვა

### საბერძნეთი

თასის მერვედფინალი

ეთნიკოსი 2:1 პანიონიოსი

იონიკოსი 1:4 ნიკი

ქსანთი 1:0 პანახაიკი

აპრატიტოსი 0:0 ეგალეო

### ჰოლანდია

თასის მერვედფინალი

გრონინგენი 3:0 ვოლენდამი

ეინდჰოვენი 1:6 აიაქსი

### გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
გადადებული მატჩი

ზიგენი 0:1 აუე

### პორტუგალია

სუპერლიგა. XVI ტური

ბოავიშტა 0:3 ნასიონალი

პენაფიელი : ამადორა გვიან დამთავრდა

ვიმარაეში : პორტუ გვიან დამთავრდა

# ქართულ ფეხბურთს ღვინის არომატი მიჰყვა

## გენერალური ტრანსფერი: უჩა უგულავა გრიგოლ ცაავას ნაცვლად

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის მორიგი სხდომის დღის წესრიგში ერთობ ზოგადი საკითხები იყო შეტანილი და ფედერაციის მესვეურთა წინასწარი განცხადებებითაც, სხდომას უფრო „მუშა“ ხასიათი უნდა ჰქონოდა. რეალურად კი აღმასკომის წევრებს საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ მოუწიათ მსჯელობამ.

მთავარი ამბავი: თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადება გააკეთა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა გრიგოლ ცაავამ, რომელმაც ეს ნაბიჯი რეალურ საფეხბურთო ცხოვრებასთან მეტი სიახლოვის სურვილით ახსნა.

აღმასკომის წევრებმა დააკმაყოფილეს მისი განცხადება, სფფ-ის პრეზიდენტმა კი ცაავას შემცვლელიც წარადგინა — გუშინდლიდან ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი 31 წლის უჩა უგულავა გახდა, რომელსაც სხვადასხვა დროს ფასების ინსპექციაში, სახელმწიფო კანცელარიაში, შპს „ელექტროგამართვაში“, შპს „ქართუ უნივერსალში“ და ბოლოს „საქართველოს ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანიაში“ (GWS) ფინანსურ მენეჯერად მუშაობის გამოცდილება უმაგრებს ზურგს.

ახალ გენერალურ მდივანს პირველი კომენტარის გაკეთება გუშინვე ვთხოვეთ და პირველ რიგში, რაღა თქმა უნდა, მისი საფეხბურთო წარსულით დავინტერესდით...

„შეიძლება ითქვას, რომ ჩემი ურთიერთობა ფეხბურთთან რამდენიმე კლუბისთვის ფინანსური პროექტების მომზადებით შემოიფარგლება. თუმცა, არა — შარშანწინ „ბენდელას თასზე“ GWS-ის სახელით გამოვდიოდი და მეოთხე ადგილი დავიკავეთ.

...საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომი თავისი არსით აღმასრულებელი ორგანოა. ანალოგიური ფუნქციით არის აღჭურვილი გენერალური მდივანიც. ჩვენი მიზანი ფედერაციაში სწორი, მიზანმიმართული მენეჯმენტის განხორციელება იქნება“ — გვითხრა უჩა უგულავამ.



დაშლილი დუეტი: გრიგოლ ცაავა და ნოდარ ახალკაცი

აღმასკომის წევრებმა დააკმაყოფილეს აწ უკვე ყოფილი კოლეგების, ალექსანდრე ჩივაძისა და ლევან ყიფიანის განცხადებები აღმასკომის წევრობის უფლებამოსილების მოხსნის თაობაზე. თავად განმცხადებლები გუშინდელ სხდომას არ დასწრებიან.

გუშინვე დე ფაქტო გაფორმდა მოსალოდნელი ცვლილება სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტში: ანატოლი მილჩენკოს მაგიერ ამიერიდან კომიტეტს ამირან კაჭახიძე ჩაუდგება სათავეში.

შეგახსენებთ, რომ ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ამირან კაჭახიძე ფეხბურთის ფედერაციის უსაფრთხოების ოფიცრის თანამდებობაზე მუშაობდა. რაც შეეხება ანატოლი მილჩენკოს, აღმასკომმა მადლობა გადაუხადა წლების განმავლობაში გაწეული სამსახურისთვის. სავარაუდოდ, ის მსაჯთა აკადემიის რექტორის თანამდებობაზე განაგრძობს საქმიანობას.

მოსალოდნელი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ვალერი ჩოლარიას თემამ. აღმასკომის წევრთა ერთი ნაწილი მომხრე იყო, დაეკმაყოფილებინათ ჩოლარიას თხოვნა და მიეცათ მისთვის სხდომაზე სიტყვით გამოსვლის უფლება. ეს წინადადება ვერ გავიდა, საბოლოო ჯამში კი აღმასკომმა კომპრომისული გადაწყვეტილება მიიღო: ვალერი ჩოლარიას ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტები შეხვდებიან და პირად საუბარში შეეცდებიან ყველა საკამათო საკითხის გარკვევას.

რაღა თქმა უნდა, აღმასკომის წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე უცხოელი სპეციალისტის მოწვევის შესახებაც. ნოდარ ახალკაცმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ამ ეტაპზე ნაკრების თავკაცად დანიშვნის ყველაზე მეტი შანსი კლაუს ტოპმიოლერს აქვს. მის გარდა, დღის წესრიგში რჩება სლოვენიელი სრეჩკო კატანეცის კანდიდატურაც და იმ შემთხვევაში, თუ ტოპმიოლერი ქართული მხარის შეთავაზებაზე უარს განაცხადებს, აქცენტი სწორედ კატანეცზე გაკეთდება.

**გიორგი ნოზაძე**



# პროფლიგა საქართველოს მოახალისებს?

**საქართველოს** პროფესიული ფეხბურთის ლიგა სულ მალე ოფიციალურ პრეზენტაციას მოაწყობს და გვაუწყებს ჩვენი საფეხბურთო მეურნეობისთვის მეტად მნიშვნელოვანი პროექტის დასრულებას. უფრო სწორად, დაწყებას, რადგან ლაპარაკია სამინდვრე მეურნეობაზე, რომელმაც ჩვენი მოედნები ხარისხიანი საფარით უნდა უზრუნველჰყოს.

არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ ამგვარ საფარს რამდენიმე უპირატესობა გააჩნია. მისი ექსპლუატაცია შესაძლებელია დაგებიდან ორი თვის შემდეგ. ასევე მარტივია მინდვრის დაზიანებული მონაკვეთების შეცვლა.

ამგვარი მეურნეობა თურქებს რამდენიმე წელია, გააჩნიათ და, თუ ჩვენ თურქული ფეხბურთის პროგრესზე ვლაპარაკობთ, დიდწილად ეს ხარისხიანი მოედნების დამსახურებაცაა. თურქეთიდან ერთი კვადრატული მტერი საფარის ტრანსპორტირება და განბაჟება დაახლოებით 20 დოლარამდე ჯდება. იმის გათვალისწინებით, რომ საფეხბურთო მოედნის ფართობი დაახლოებით 8 000 კვადრატული მეტრია, საკმაოდ სოლიდური თანხა გამოდის. ამას ემატება აუცილებელი სადრენაჟო და სხვა წინასწარი სამუშაოები.

როგორც შევიტყვეთ, ქართული წარმოების საფეხბურთო ხალიჩის ღირებულება კვადრატულ მეტრზე დაახლოებით 7 დოლარი იქნება.

პროფესიული ფეხბურთის ლიგისთვის ეს პროექტი ფაქტობრივად არაკომერციულია. ლიგა უარს ამბობს ყოველგვარ მოგებაზე, რაც შესაძლებელს ხდის ფასის ამ ნიშნულამდე დაწევას.

თუკი ქართულ კლუბებს მინიმალური მხარდაჭერა ექნებათ და ამ პროცესში ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამამაც შეასრულა თავისი როლი, „თბილისის“ და „ზესტაფონის“ მოედნების დარი საფარი, რომელიც სწორედ უცხოეთიდანაა ჩამოტანილი, ჩვენი საფეხბურთო რეალობისთვის უცხო ხილი ნამდვილად აღარ იქნება.

**გიორგი ნოზაძე**

# კოტრიკაძე პენსიაში გაუშვეს

**გუშინწინ** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გაიმართა ფეხბურთის მუშაკთა პროფკავშირების კონფერენცია. სხდომის დღის წესრიგში განვლილ საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის გარდა ახალი ხელმძღვანელის არჩევაც იყო გათვალისწინებული.

წინასწარი ინფორმაციით, პროფკავშირების თავმჯდომარე ილია მჭედლიშვილი კიდევ ერთი ვადით აპირებდა თანამდებობაზე დარჩენას, მაგრამ ბოლო მომენტში მან კანდიდატურა მოხსნა. კონფერენციამ პროფკავშირების ახალ ხელმძღვანელად ვეტერანი ფეხბურთელი სერგო კოტრიკაძე აირჩია, რომელიც აქამდე სამსაჯო-საინსექტორო კომიტეტში მუშაობდა.

ბატონმა სერგომ ხუმრობით კი გვითხრა, ახლა ნამდვილად პენსიონერი გავხდიო, თუმცა პროფკავშირებში არსებული ვითარება ნაკლებად მისცემს მშვიდად საქმიანობის საშუალებას. პირველ რიგში ამის მიზეზი მწირი ფინანსები იქნება, რის შესახებაც გუშინწინდელ თავყრილობაზე საკმაოდ ბევრი ითქვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



შალვა ღონღაძის (მარჯვნივ) „ზესტაფონმა“ პირველად „დინამოსთან“ მატჩში გამოანათა


„სიონთან“ მარცხმა „ზესტაფონს“ მთავარი მწვრთნელი თემურ მახარაძე დროებით ჩამოაშორა

## ზესტაფონი

# როგორი იქნება ზესტაფონი დარსაძის შემდეგ?

„ზესტაფონი“ — კლუბი, რომელმაც ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებზე წარადგინა ნოდარ ახალკაცი და რომლის მთავარი დამფინანსებელი კომპანია „ფერო“ ჩვენი ეროვნული ნაკრების სპონსორი იყო ჯერ კიდევ მერაბ ჟორდანიას პრეზიდენტობისას.

„ზესტაფონი“, რომლის მრჩეველი ჩვენი ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი გაიოზ დარსაძე იყო და რომელიც ნაკრებში იწვევდა ზესტაფონელებს — შალვა ღონღაძეს, კახა ჩხეტიანს, გიორგი განუგრავას და ბექა გოცირიძეს.

„ზესტაფონი“, რომლის მეორე გუნდს კობა ჟორჟიკაშვილი წვრთნის. ჟორჟიკაშვილივე თავკაცობდა პირველ გუნდს მიმდინარე ეროვნულის მეცხრე ტურიდან მეცამეტეს ჩათვლით და ამავდროულად საქართველოს ახალგაზრდული და 19-წლამდელთა ნაკრებების დამრიგებელიც იყო. ახლა კი კულუარებში ამბობენ, ჟორჟიკაშვილი ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი აღარ იქნებაო...

მოკლედ, „ზესტაფონი“ წლევანდელი ზაფხულიდან ძალიან მყივარი გუნდი შეიქნა, შეიძლება ითქვას, სკანდალურიც, მაგრამ ისეთიც, სადაც ფული იხარჯება, თურქეთიდან ჩამოტანილი მინდორი უკვე დაიგო და მალე ბაზაც აშენდება — ასეთი „ზესტაფონი“ კი ყველასთვის კარგია.

...„ზესტაფონმა“ მესამე ტურში გამოანათა, ქუთაისში 1:0 სძლია თბილისის „დინამოს“, თუმც პირველ ტაიმში იღბლის თაიგული ეჭირა ხელში და მის კარში გოლი არა და არ გადიოდა, შესვენების შემდეგ კი მოლდოველმა სერგეი ნუდნიმ სუპერგოლი გაიტანა.

მეშვიდე ტურიდან „ზესტაფონი“ შინ, თურქეთიდან ჩამოტანილ, გაბიბინებულ მინდორზე ათამაშდა, მაგრამ სტუმრად თამაში გუნდს გაუჭირდა — უშუალო კონკურენტებთან, „ბორჯომთან“, „სიონთან“ და „ამერთან“ წააგო, ხოლო „ლოკომოტივთან“ ნულოვან ფრეს გამორჩა.

უცუდესი მატჩი „ზესტაფონმა“ შინ „ვიტ ჯორჯიასთან“ გამართა — 0:4 წააგო, ჰეთ თრიქის შემსრულებელ ოთარ მარცვალაძეს ვერაფერი მოუხერხა.

...პირველი წრის შუაწელიდან კი ზურაბ იონანიძე ათამაშდა, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატებში ყველაზე მეტი გოლის გამტანი. კარგად გამოჩნდა, რომ მისი და სხვა გამოცდილი ფეხბურთელების გარეშე „ზესტაფონს“ ქულების მოგროვება ძალიან უჭირდა — ზურაბ ქვარახია, ზურაბ ძამსაშვილი, შალვა ღონღაძე, სევასტი თოდუა — ეს დაღვინებული მოთამაშეები გუნდისთვის დიდი ძალაა.

...და 17 წლის გიორგი განუგრავა, ვინც დიდი ზეწოლის ქვეშ აღმოჩნდა და მას არც ფიზიკური დატვირთვა აკლდა — აქეთ 19-წლამდელთა ნაკრები, იქით 21-წლამდელები, კიდევ ეროვნული, კრიტიკა და ის, რომ განუგრავა დარსაძის ფავორიტად მოინათლა და არცთუ უსაფუძვლოდ. ახლა ალბათ „ზესტაფონშიც“ კარგად უწყიან, რომ 17 წლის და, მით უმეტეს, კარგი მონაცემების მქონე ფეხბურთელს სათუთი მოპყრობა და გაფრთხილება უნდა.

სხვათა გარდა „ზესტაფონს“ გრიგოლ იმედაძეც ჰყავს — 25 წლის თავდამსხმელი, ვინც ყმაწვილობაში ძალიან პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლებოდა და უპირველესად ნიჭის ხარჯზე ახლაც ძალუძს გამონათებები.

დარსაძე კი ეროვნული ნაკრების მწვრთნელი აღარ არის და, როგორც კულუარებში ამბობენ, უწინდელივით დიდი გავლენა აღარ ექნება ასაკობრივ ნაკრებებში. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ „ზესტაფონი“ ზოგ-ზოგ საკითხებში დარსაძეზე დამოკიდებული აღარ იქნება და ძალიან საინტერესოა, როგორი იქნება „ზესტაფონი“ გაისად.

ერთიც: პირველი წრის ბოლო ორ ტურში „ზესტაფონს“ მთავარ მწვრთნელად თემურ მახარაძე დაუბრუნდა. ნიშნავს ეს იმას, რომ „ზესტაფონი“ წინა სეზონის „ზესტაფონს“ დაემსგავსება თუ რაიმე სიახლეებს ვიხილავთ?..

**დავით თავართქილაძე**

**პირველი ტური**
31 ივლისი, კვირა
თბილისი 0:1 ზესტაფონი

**მეორე ტური**
7 აგვისტო, კვირა
ამერი 2:0 ზესტაფონი

**მესამე ტური**
20 აგვისტო, შაბათი
ზესტაფონი 1:0 დინამო

**მეოთხე ტური**
27 აგვისტო, შაბათი
ცხინვალი 0:2 ზესტაფონი

**მეხუთე ტური**
10 სექტემბერი, შაბათი
ზესტაფონი 0:4 ვიტ ჯორჯია

**მეექვსე ტური**
17 სექტემბერი, შაბათი
ბორჯომი 1:0 ზესტაფონი

**მეშვიდე ტური**
25 სექტემბერი, კვირა
ზესტაფონი 1:0 სპარტაკი

**მერვე ტური**
1 ოქტომბერი, შაბათი
სიონი 1:0 ზესტაფონი

**მეცხრე ტური**
15 ოქტომბერი, შაბათი
ზესტაფონი 1:1 ტორპედო

**მეათე ტური**
23 ოქტომბერი, კვირა
ლოკომოტივი 0:0 ზესტაფონი

**მეთერთმეტე ტური**
30 ოქტომბერი, კვირა
ზესტაფონი 2:0 დილა

**მეთორმეტე ტური**
5 ნოემბერი, შაბათი
ბათუმი 2:2 ზესტაფონი

**მეცამეტე ტური**
13 ნოემბერი, კვირა
ზესტაფონი 3:0 კოლხეთი

**მეთოთხმეტე ტური**
20 ნოემბერი, კვირა
სოხუმი 0:1 ზესტაფონი

**მეთხუთმეტე ტური**
27 ნოემბერი, კვირა
ზესტაფონი 4:0 კახეთი





ზურაბ იონანიძე

მეგოლეები
7 — ზურაბ იონანიძე
4 — გრიგოლ იმედაძე
2 — შალვა ღონღაძე
1 — რევაზ კვერნაძე
სერგეი ნუდნი
გიორგი ხიდეშელი
ბექა გოცირიძე
ქარქუზაშვილი (დილა) — ს.კ.

**ზესტაფონი პირველ წრეში**
15 თამაში, 8 მოგება, 3 ფრე, 4 წაგება, ბურთები 18:11, 27 ქულა

# რომელ დივიზიონშია საქართველო?

















მოგწონთ ეს ფოტოები? ალბათ, კი. იტყვით: აი, გამართული კლუბი, კარგი სტადიონით და ინფრასტრუქტურით. კლუბი, რომელზეც ამ საქებარ სიტყვებს ვამბობთ, ფრანგული „დიუნკერია“, იქაური მეოთხე დივიზიონის კლუბი, საიდანაც ერთი ახალგაზრდა ფეხბურთელი აიბარგა და თბილისის „დინამოში“ გადავიდა. ჟულიენ ოლბეკი თავის არჩევანს ასე ხსნის: „დინამოში“ ევროთასზე თამაშის შანსი მაქვს და იქ, ეგებ, ვინმემ შემამჩნიოს და კარგ ევროპულ კლუბში მიმიწვიოსო. კარგი არგუმენტია, თუმცა ჩვენ სხვა რამ გვაწუხებს: თუ იცის ოლბეკმა, როგორ სტადიონებზე მოუწევს თამაში საქართველოს უმაღლეს ლიგაში? ვიმეორებთ: ამ ფოტოებზე საფრანგეთის მეოთხე დივიზიონის კლუბის სარბიელია ასახული...

# რონალდო ვირთხა არ არის

**ბრაზილიელმა** რონალდომ განაცხადა, რომ მილანის „ინტერში“ დაბრუნებას არ აპირებს და მძიმე პერიოდში „რეალის“ ერთგულება აქვს გადაწყვეტილი. „მე არასდროს გავიქცევი იმ გემიდან, რომელიც იძირება“ — თქვა მან. მოგეხსენებათ, ნათქვამია, ჩაძირული გემიდან პირველები ვირთხები გარბიანო.


რონალდომ „რეალს“ ერთგულება შეჰფიცა

მაგრამ, რატომ გახდა ეს თემა სალაპარაკო? იმიტომ, რომ დაირხა ხმა, ბოლო ტურში, „რასინგთან“, „სანტიაგო ბერნაბეუს“ ლანძღვაგინების მოსმენის შემდეგ ბრაზილიელმა კლუბს გათავისუფლება მოსთხოვაო, მაგრამ, როგორც ხედავთ თავად რონიმ ეს ხმები უარყო:

„ბუნებით მებრძოლი ვარ და „რეალიდან“ წასვლა ერთხელაც არ მომსვლია აზრად. კატეგორიულად უარვყოფ, თითქოს არიგო საკის მადრიდის დატოვების სურვილი გავუმხილე ან ლუიშ ფიგუსა და ადრიანოს დავურეკე და „ინტერში“ დაბრუნებაზე ველაპარაკე. მეტიც, არც ის არის მართალი, თითქოს მილანურ დერბიში გამარჯვების გამო „ინტერი“ ვაქე. ეს ყველაფერი ჭორია და ვილაცები ჩემგან ბოდიშის მოხდას რომ ითხოვენ, მათ გასაგონად მინდა განვაცხადო, რომ ბოდიში არავისთან მაქვს მოსახდელი. მადრიდში თავს ბედნიერად ვგრძნობ. ამასთან, კარგად ვიცი, რომ ამწუთას ჩვენი გუნდი ცუდად თამაშობს, მაგრამ ამის მიუხედავად, ტყუილების მოსმენას და მოთმენას არ ვაპირებ“.

აღსანიშნავია, რომ ჭორები, რომელთა შესახებაც ზევით ვისაუბრეთ, საკუთრივ „რეალის“ პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმაც უარყო. მან რონალდოს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი უწოდა.

„რონალდო ჩვენი პროექტის ფუნდამენტური ნაწილია. გარანტიას გაძლევთ, რომ ბრაზილიელი თავის კარიერას ჩვენთან, მადრიდის „რეალში“ დაამთავრებს“ — განაცხადა პრეზიდენტმა.

**პაპუნა ბედია**

# დი ვაიო წავიდა



**იტალიელი** მარკო დი ვაიო „ვალენსიადან“ „მონაკოში“ სეზონის ბოლომდე გაანათხოვრეს.

„მე მსურდა გუნდი, სადაც სათამაშო პრაქტიკა მექნებოდა. „ვალენსიას“ მწვრთნელს ვესაუბრე და მონაკოელებთანაც ყველაფერი გავარკვიე. ძალიან მოხარული ვარ, რომ პრიმერადივიზიონიდან მივდივარ. „მონაკო“ საკმაოდ კარგი გუნდია. იქ ალბათ მეტი სათამაშო დრო მექნება“ — განაცხადა იტალიელმა ფორვარდმა, რომელიც სათადარიგოთა სკამის ხეხვით დაიღალა.

ფრანგულ. კლუბს მომავალი წლის ივნისში შესაძლებლობა ექნება, ფეხბურთელის ტრანსფერი გამოისყიდოს.

„არა მგონია, „ვალენსიაში“ დავბრუნდე. მე რომ იქაურებს ვუნდოდე, არ გამიშვებდნენ და მათამაშებდნენ. „მონაკოში“ თავს უკეთესად ვიგრძნობ და მივესალმები აქაურ ფანებს, რომლებსაც ჩემი ჩამოსვლა გაუხარდათ“.

29 წლის მარკო დი ვაიო „იუვენტუსიდან“ „ვალენსიაში“ 2004 წელს გადავიდა და ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. პირველსავე სეზონში „ღამურების“ მაისურით 11 გოლი გაიტანა, მაგრამ ამ შემოდგომაზე მწვრთნელმა კიკე სანჩეს ფლორესმა მხოლოდ ერთხელ მისცა ძირითად შემადგენლობაში თამაშის შანსი. ფლორესმა დი ვაიოს დავიდ ვილია, მიგელ მისტა და პაბლო აიმარი ამჯობინა.

**გაჟა ხუციშვილი**

# ტოტენჰემი სტამს ელის

**ინგლისურმა** „ტოტენჰემმა“ ფაქტობრივად მოაგვარა „ალკმაარის“ მცველ რონ ვლაარის ტრანსფერი, რომელიც ახალ იაპ სტამად „მონათლეს“ სამშობლოში. ჰოლანდიელებმა დაადასტურეს, რომ ჰათი ფეხბურთელი ლონდონურ კლუბში გადავა. ვლაარი 16 იანვარს 21 წლის გახდება.

„ალკმაარი“ და „ტოტენჰემი“ უკვე შეთანხმდნენ. რონ ვლაარი ლონდონელებს ესაუბრა და მალე ყველაფერი საბოლოოდ გაირკვევა. სხვებსაც სურდათ ამ ფეხბურთელის გადაბირება, მაგრამ ჩვენ საქმე „ტოტენჰემთან“ დავიჭირეთ. „აიაქსმა“ კი მანამდე განაცხადა, რომ ვლაარი არ აინტერესებს“ — თქვა „ალკმაარის“ წარმომადგენელმა.

ცენტრალური მცველები ტოტენჰემელებს ოხრად ჰყავთ: ლედლი კინგი, მაიკლ დოუსონი, ნურედინ ნაიბეტი, გორან ბუნიევჩევიჩი და ენტონი გარდნერი, მაგრამ მწვრთნელ მარტინ იოლს გუნდის გაახალგაზრდავება სურს და ვლაარსაც ამიტომ ეპოტინება.

რონ ვლაარმა ამ კვირის დასაწყისში „აფრები აუშვა“ — მწვრთნელი ლუის ვან გაალი გააკრიტიკა. ახალგაზრდა მცველმა კონტრაქტის გახანგრძლივებაზე უარი თქვა, რომელიც 2007 წელს უმთავრდება. ამის გამო კლუბმა ფულადი ჯარიმა „გამოუწერა“ და სათადარიგოებში გადაიყვანა.


„ახალი სტამი“: რონ ვლაარი

**გაჟა ხუციშვილი**

## ფეხბურთის რუკასთან

**ინგლისური** „ნიუკასლის“ ფორვარდმა მაიკლ ოუენმა „ლივერპულში“ დაბრუნება გამორიცხა. ბოლო დღეებში ბრიტანულ პრესაში ამგვარი ჭორები ხშირად ვრცელდებოდა და ოუენსაც მის გასაბათილებლად განმარტება ამად დასჭირდა. „ნიუკასლთან“ ოთხწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს და ამით ძალიან კმაყოფილი ვარ“ — მოკლედ თქვა ინგლისის ნაკრების თავდამსხმელმა.

**იტალიური** „ინტერის“ მცველმა ნიკოლას ბურდისომ აღნიშნა, რომ იანვარში კლუბის დატოვებას არ აპირებს. „ჭორებს ნუ ენდობით. „ინტერთან“ ერთად ტიტულების მოგება მინდა და არსად არ მივდივარ. ჩვენი კლუბი დიდ ოჯახს წააგავს და ყველას ვემადლიერები იმისთვის, მძიმე წუთებში გვერდზე რომ მედგნენ. ჩემი ქალიშვილი გამოჯანმრთელდა და მეუღლესთან ერთად მილანშია, რაც ძალიან მახარებს“ — აღნიშნა არგენტინელმა.

**ინგლისური** „ჩელსის“ მცველი უეინ ბრიჯი შესაძლოა, სეზონის ბოლომდე მეორე ლონდონურ კლუბ „ფულემში“ გადაბარგდეს. აღსანიშნავია, რომ ბრიჯს წლეულს ლონდონელთა რიგებში არც ერთი მატჩი არ ჩაუტარებია, რაც ცხადია, ძალიან არ სიამოვნებს, რადგანაც 2006 წლის მუნდიალზე მოხვედრის შანსები ერთიორად უმცირდება.

**სერბი** ნახევარმცველი ოგნიენ კორომანი იანვარში ალბათ ლისაბონის „ბენფიკაში“ გადავა. გროზნოს „ტერეკი“ ირწმუნება, კორომანი თავისუფალი აგენტი არ არის და ჯერ კიდევ ჩვენი წევრიაო, მაგრამ ფეხბურთელი ამბობს, კლუბთან კონტრაქტი დამიმთავრდაო. „იმედი მაქვს, 21 თებერვალს უკვე ჩემ ახალ გუნდთან ერთად „ლივერპულის“ წინააღმდეგ ვითამაშებ“ — თქვა კორომანმა.

**ბრაზილიელმა** მწვრთნელმა ვანდერლეი ლუშემბურგომ აღნიშნა, რომ „რეალს“ პრიმერადივიზიონსაც მოაგებინებდა და ჩემპიონთა ლიგასაც, დრო რომ მიეცათ. „მათ ბრაზილიაში ცნობილი მწვრთნელი დაიქირავეს, მაგრამ, როგორც ჩანს, რეალურად არ მიცნობდნენ. მე არ წამიგია, უბრალოდ, საშუალება არ მეძლეოდა, მომეგო“ — განაცხადა განაწყენებულმა ლუშემბურგომ.

**ნიგერიის** ნაკრების ფორვარდმა იაკუბუ აიეგბენიმ საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ ეგვიპტეში აფრიკის ეროვნებათა თასზე სათამაშოდ არ წავა. „სამწუხაროდ, ნაკრების მთავარ მწვრთნელ აუგუსტინ ეგუავონთან ცუდი ურთიერთობა მაქვს და ამიტომაც ვიუარე“ — განმარტა აიეგბენიმ.

**იტალიური** „რომას“ ფორვარდის ანტონიო კასანოს „რეალში“ გადასვლის შანსები ერთიორად გაიზარდა. მადრიდელთა პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა კლუბის აგენტებს ნება მისცა, იტალიელ ფეხბურთელთან და მის კლუბთან მოლაპარაკება დაიწყონ. გავრცელებული ცნობით, „სამეფო კლუბი მზადაა, 3,5 მილიონი გირვანქა გადაიხადოს.

**ლიტვურ** „ჟალგირისს“ იგორ პანკრატევი გაწვრთნის. კლუბის პრეზიდენტ არმინას ნარბეკოვასის თქმით, ახალი თავკაცის მიზანი „ჟალგირისისთვის“ ძველი დიდების დაბრუნება იქნება. შეგახსენებთ, რომ ლიტვის ერთ-ერთმა უძლიერესმა კლუბმა წლეულს ძალიან ცუდი შედეგი აჩვენა — „ჟალგირისი“ მე-8 ადგილზე გავიდა.

**ესპანურ** „რეალს“ ალბერტ ლუკეს ხელში ჩაგდება სდომებია და მზად არის, „ნიუკასლს“ მის სანაცვლოდ თომას გრავესენი შესთავაზოს. აღსანიშნავია, რომ გრავესენის შეძენა „მანჩესტერ იუნაიტედს“ და მის ყოფილ კლუბ „ევერტონსაც“ სურთ, ხოლო ლუკეთი „ბარსელონაც“ დაინტერესებულია.

**ბრაზილიის** პოლიციამ დიეგო მარადონა დააკავა. 45 წლის მარადონამ ზიკოს მიერ ორგანიზებული საქველმოქმედო მატჩის შემდეგ აეროპორტში, ბუენოს აირესის რეისზე დაიგვიანა და მომსახურე პერსონალთან კონფლიქტი მოუვიდა, რასაც პოლიციის გამოძახება მოჰყვა. მარადონა შესამოწმებლად რიო დე ჟანეიროს ნარკოლოგიურ ცენტრში გადაიყვანეს.

**რუსული** „კრილია“ ორი ფეხბურთელით გაძლიერდა — სამარელებმა იაროსლაველის „შინიკიდან“ მცველები, სერჟ ბრანკო და კშიშტოფ ლაგიევკა დაიმატეს. „კრილიამ“ პირველ მათგანმა ოთხწლიანი, ხოლო მეორესთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**სამხრეთაფრიკელმა** მარკ ფიშმა კარიერა დაასრულა. 31 წლის ფეხბურთელმა გუშინ „ჩარლტონთან“ კონტრაქტი გაწყვიტა, რადგან მუხლის ტრავმამ ისე დატანჯა, რომ ბურთს ველარ გაეკარება. იგი ალბათ სამშობლოში დაბრუნდება, სადაც ტელეკომენტატორობას დაიწყებს.

**გერმანული** „შალკეს“ ყოფილმა მწვრთნელმა, რალფ რანგნიკმა, შესაძლოა, „ვოლფსბურგი“ ჩაიბაროს. რანგნიკი ორი კვირის წინ გაათავისუფლეს და ახლა სამუშაოს ეძებს. თავის მხრივ, ვოლფსბურგელთა თავკაცი, ჰოლგერ ფახი, ბუნდესლიგის ბოლო ტურში „კაიზერსლაუტერნთან“ წაგების შემდეგ დაითხოვეს. რალფ რანგნიკის განცხადებით, მას „ვოლფსბურგიდან“ უკვე დაუკავშირდნენ, მაგრამ მოსაფიქრებლად დრო სჭირდება. „ჯერ კიდევ არაფერია გადაწყვეტილი, წინადადება მივიღე, თუმცა პასუხს შობის შემდეგ ვიტყვი“ — განმარტა რანგნიკმა.

## იტალია

სერია A. XVII ტური

**ლივორნო 0:3 მილანი**

0:1, 0:2 ჯილარდინო (23, 60), 0:3 შევჩენკო (71)

ლივორნო: ამელია, გრანდონი, ვარგასი, გალანტე, სეზარ პრატესი (პაულინიუ 73), მორონე, პასონი, ჯ. კოლუჩი (დე აშენტისი 56), კოკო, კ. ლუკარელი, ლაზეტიჩი (პფერცელი 76)
მწვრთნელი: რობერტო დონადონი
მილანი: დიდა, შიმიჩი, ნესტა, კალაძე, სერჟინიო, გატუზო, პირლო, ზეედორფი (ამბროზინი 78), კაკა (იანკულოვსკი 88), შევჩენკო, ჯილარდინო (რუი კოშტა 84)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: ვარგასი
მსაჯი: ტრეფოლონი
13 000 მაყურებელი

**იუვენტუსი 2:0 სიენა**

1:0 კანავარო (13), 2:0 ტრეზეგე (53)

იუვენტუსი: აბიატი, ძამბროტა, ტურამი, ფ. კანავარო, კიელინი, კამორანეზი, ემერსონი, ვიეირა, მუტუ, ტრეზეგე (დელ პიერო 59), იბრაჰიმოვიჩი (ზალაიეტა 78)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
სიენა: მირანტე, პორტანოვა, ლეგროტალიე (კოლონეზე 74), ტუდორი, გასტალდელო (კიეზა 59), ფოლიო (მინანი 88), ალბერტო, პარო, მოლინარო, ლოკატელი, ბოგდანი
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
გაფრთხილება: ალბერტო, აბიატი, ძამბროტა
მსაჯი: დე სანტისი
25 000 მაყურებელი

**ინტერი 4:1 ემპოლი**

1:0 ადრიანო (3), 2:0 კრუზი (45), 2:1 ვანუკი (64), 3:1 ფიგუ (66), 4:1 მარტინსი (85)

ინტერი: ჟულიო სეზარი, ხ. ძანეტი, ბურდისო, ვ. სამუელი, ფავალი, ფიგუ, კამბიასო, ვერონი (ვომე 88), სოლარი (კ. ძანეტი 70), ადრიანო (ხ. კრუზი 20), მარტინსი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
ემპოლი: ბერტი, რაჯი, კოდა, ლუკინი (ვანუკი 33), ბონეტო (ლოდი 59), ბუშე, ფიჩინი, ალმირონი, დ. მორო, ტავანო, რიგანო (გასპარეტო 84)
მწვრთნელი: მარიო სომა
გაფრთხილება: ლუკინი
მსაჯი: გირარდი
50 000 მაყურებელი

**ფიორენტინა 1:0 პალერმო**

1:0 იორგენსენი (40)

ფიორენტინა: ფრეი, უიფალუში, გამბერინი, დაინელი, პასკუალი, ფიორე (მაჯო 88), ბროკი, დონადელი, იორგენსენი (პაზიენცა 50), ტონი, პაცინი (მონტოლივო 50)
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
პალერმო: გუარდალბენი, ძაკარდო, ტერლიცი, ბარძალი, გროსო, სანტანა, კორინი (კოდრეა 61), ბარონე, ბონანი (მასიელო 46), მ. გონსალესი, კარაჩოლო
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
გაფრთხილება: კარაჩოლო, მონტოლივო, პასკუალი
მსაჯი: როზეტი
32 000 მაყურებელი

**რომა 4:0 კიევო**

1:0, 2:0 ტოტი (32პ, 39), 3:0 პეროტა (65), 4:0 ტადეი (85)

რომა: დონი, პანუჩი, მექსეში, კიუვუ, ბოვო, დე როსი (ხარჯა 77), აკილანი, პეროტა, ტომაზი (ოკაკა ჩუკა 81), ტადეი (ე. ალვარესი 86), ტოტი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

# ჯინგლ ბელზ, ჯინგლ ბელზ

## დიდი საშობაო სადილი სერია A-ში



AFP მილანიდან

ინტერი — ემპოლი. მასპინძელთა ბრაზილიელი ადრიანო სიკვდილს გადაურჩა

კიევო: სკიცი, მალაგო, მანდელი, დანა, ლანა, სემიოლი, ბრიგი, ჯუნტი (სამარკო 80), დ. ფრანჩესკინი, ტირიბოკი (სკურტო 56), პელისიერი (ამაური 58)
მწვრთნელი: ჯანკარლო პილონი
გაფრთხილება: დე როსი, დანა, დანა, ლანა
გაძევება: დანა (53)
მსაჯი: ტომბოლინი
11 000 მაყურებელი

**ლეჩე 0:0 ლაციო**

ლეჩე: ბენუსი, ანჯელო, დიამუტენე, სტოვინი, რულო, მარიანინი (კამორანი 90), დელ ვეკიო, ხ. ვალდესი, კონანი (კასეტი 83), პელე (კოცოლინო 67), ვუჩინიჩი
მწვრთნელი: სილვიო ბალდინი
ლაციო: პერუცი (ბალოტა 72), ოდო, სივილია, კრიბარი, ძაური, კელერი (ბელერი 46), დაბო, ლივერანი, კ. მანფრედინი, პანდევი, როკი (ტარე 85)
მწვრთნელი: დელიო როსი
გაფრთხილება: დაბო, სივილია, რულო, ვუჩინიჩი, ძაური, ვუჩინიჩი
გაძევება: ვუჩინიჩი (74)
მსაჯი: ლოპსი
19 000 მაყურებელი

**უდინეზე 2:0 სამპდორია**

1:0 საპატა (71), 2:0 კასტელინი (80ს.კ.)

უდინეზე: დე სანკტისი, ბერტოტო, სენსინი, საპატა, ჟუარესი, ტისონე, ობოდო, მუნტარი, პიერი, დი ნატალე, ბარეტო (ლაცარი 89)
მწვრთნელი: სერსე კოზმი
სამპდორია: ანტონიოლი, კ. ძენონი, მ. კასტელინი, სალა, მ. პიზანო, ტონეტო, დიანა, დალა ბონა, კუტუზოვი (ძამბონი 60), ბაცანი, ბონაცოლი (ბორიელო 53)
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
გაფრთხილება: მუნტარი, დიანა, ჟუარესი, ბორიელო
მსაჯი: საკანი
17 000 მაყურებელი

**პარმა 1:0 კალიარი**

1:0 კორადი (23)

პარმა: ბუჩი, კოლი, კარდონე, პ. კანავარო, კონტინი, გრელა, ბოლანო (დესენა 26), სიმპლისიო, ბრეშიანო (მ. როსი 89), მარკიონი (ჩიგარინი 73), კორადი
მწვრთნელი: მარიო ბერეტა
კალიარი: კამპანოლო, ბეგა, კანინი, დ. ლოპესი, აგოსტინი, აბეიხონი, მ. ესპოზიტო, კონტიკიო (ბუდელი 46), გობი (კაპონე 54), სუაცო, ლანჯელა (კოჩო 63)
მწვრთნელი: ნედო სონეტი
გაფრთხილება: აგოსტინი, კონტინი, დესენა, ლოპესი, კარდონე, კანინი
მსაჯი: აიროლდი
11 000 მაყურებელი

**მესინა 1:1 რეჯინა**

1:0 დი ნაპოლი (25), 1:1 კოცა (86)

მესინა: სტორარი, ზორო კპოლო, ძანკი (მუსლიმოვიჩი 90), რეზაეი, კრისტანტე, დაგოსტინო, დონატი, კ. კოპოლა (მამედე 62), სკუნი, ძამპანა, დი ნაპოლი (არონიკა 68)
მწვრთნელი: ბორტოლო მუტი
რეჯინა: პავარინი, ლანძარო, დე როზა, ი. ფრანჩესკინი, ა. ლუკარელი (მოდესტო 76), პარედესი, ტედესკო, ბიონდინი (ვიჯანი 61), კოცა (ლაურო 90), ნ. ამორუზო
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
გაფრთხილება: კრისტანტე, დი ნაპოლი, კოპოლა, ბიონდინი, არონიკა, სტორარი
გაძევება: ტედესკო (82)
მსაჯი: პაპარესტა
34 000 მაყურებელი

**ასკოლი 1:0 ტრევიზო**

1:0 კალიარელა (10)

ასკოლი: ფ. კოპოლა, დელ გროსო, პაჩი, დომიცი, კომოტო, ფინი, ბიზო (პაროლა 64), გუანა, ფოჯა (კოლომბო 85), ბიელანოვიჩი, კალიარელა (ადანი 71)
მწვრთნელი: მარკო ჯამპაოლო
ტრევიზო: ძანკოპე, გუსტავო, კოტაფავა, დელაფიორე, დოსენა, პარავიჩინი (დე მარტინო 79), ა. ფილიპინი, რეგინალდო (ბეგეტო 85), ე. ფილიპინი (კიაპარა 46), პინგა, ფავა პასარო
მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი
გაფრთხილება: კალიარელა, პინგა, ბიზო, დოსენა, დელაფიორე
გაძევება: დელ გროსო (66), დოსენა (66)
მსაჯი: დონდარინი
14 000 მაყურებელი

**ლიდერმა** „იუვენტუსმა" „სიენას" 2:0 მოუგო და საშობაოდ რვაქულიანი უპირატესობა შეინარჩუნა. როგორც ცხრილიდან ხედავთ, „ბებერ ქალბატონთან" ყველაზე ახლოს „ინტერია" — „შავ-ლურჯებმა" საშობაოდ „ემპოლი" შებრაწეს 4:1 და ეს მათი ზედიზედ მეექვსე გამარჯვება გამოდგა. მესამეზეა „მილანი". „შავ-წითლებს" სადღესასწაულო სუფრაზე ვახშმად „ლივორნო" ჰქონდათ. ამ კომუნისტების გუნდმა განა მხოლოდ 0:3 წააგო, მიმდინარე სეზონში შინ პირველი მარცხიც იწვნია, ხოლო ზედა ოთხეულის ბოლო გუნდი გახლავთ „ფიორენტინა", რომელმაც გვარიანი გაჭირვებით 1:0 მოუგო „პალერმოს".

ახლა კი თანმიმდევრულად მივყვეთ. „იუვემ", როგორც მოსალოდნელი იყო, „სიენას" ყველა კომპონენტში აჯობა. სტუმრებს თავის წილ მხოლოდ ერთი-ორი მომენტი ჰქონდათ, რომელთაგან ყველაზე სახალისო, ალბათ პირველი იყო, როდესაც მათი მცველი ფლანგიდან ჩამოწოდებულ ბურთს აუხტა და ოდნავ ასცდა. კი, მაგრამ, რა არის აქ სახალისო? — იკითხავთ თქვენ. რა და ის, რომ ეს სიენელი მცველი, არც მეტი, არც ნაკლები, იგორ ტუდორი გახლდათ, ხორვატი, რომელიც წლების განმავლობაში „ბებერი ქალბატონის" ღირსებას იცავდა და საკმაოდ თავდადებითაც.

„იუვემ" ანგარიში მეცამეტე წუთზევე გახსნა, ეს ფაბიო კანავარომ შეძლო. მეორე ტაიმის დასაწყისში კი მაურო კამორანეზის პასს დავიდ ტრეზეგე შეჰყვა, მეკარეს შემოურბინა და ცარიელ კარში შეაგდო. ეს გახლდათ ტრეზეგეს მეთხუთმეტე გოლი იმ თხუთმეტ თამაშში, რომელშიც მან მიიღო მონაწილეობა, ოღონდ ერთია, პირველ ექვსში მას მეტოქის კარი არ დაულაშქრავს.

გადავიდეთ „სან სიროზე", სადაც „ინტერმა" მესამე წუთიდანვე დაიწყო გოლების შეყრა — „ემპოლის" გოლკიპერმა ესტებან კამბიასოს დარტყმული პირდაპირ ადრიანოს ფეხებისკენ მოიგერია და ბრაზილიელმაც ახლოდან მიზანს არ ააცილა, მაგრამ ამ ამბიდან თხუთმეტ წუთში ადრიანო მეტოქე მცველს, ანდრეა რაჯის შეეჯახა, ცოტა ხნით გონება დაკარგა და ხულიო კრუზით შეცვალეს. და სწორედ კრუზმა გაიტანა მეორე ბურთი პირველი ტაიმის დამთავრებამდე წამებით ადრე. მეორე ტაიმში მაყურებელმა კიდევ სამი გოლი იხილა, ერთი სტუმართა და ორიც კვლავ მასპინძელთა.

ერთი სიტყვით, „ინტერი" — „ემპოლი" ისეთი თამაში გახლდათ, რომლის [illegible] ემლო დრო არ დაეხარჯა. [illegible] „ლივორნოში" [illegible] სტუმრობა, წესით მართლა თამაში უნდა გამომდგარიყო, მაგრამ ისეთივე ცალგუნდა-ცალკარა გამოდგა. მოკლედ, „ლივორნომ" კახა კალაძესა და მის თანაგუნდელებს საერთოდ ვერაფერი დაუპირისპირა.

„რომ იტყვიან, სახიფათო მოსახვევს გავცდით. ეს ჩვენი საუკეთესო გასვლითი მატჩი იყო ამ სეზონში. როგორც კი ჩვენი ნახევარდაცვა მეტად შეიკრა, დაცვას ზეწოლა შეუმცირდა და აგერ, უკვე ორი თამაშია, გოლს აღარ ვუშვებთ. კიდევ ამიტომაა სასარგებლო კაკა მარჯვენა ფლანგზე, საიდანაც მოწინააღმდეგეთა შუა რგოლს არღვევს" — განაცხადა მატჩის შემდეგ „მილანის" მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ.

**პაპუნა კედია**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 იუვენტუსი | 17 | 15 | 1 | 1 | 38:9 | 29 | 46 | 9 | 9 | 0 | 0 | 20:2 | 18 | 27 | 8 | 6 | 1 | 1 | 18:7 | 11 | 19 |
| 2 ინტერი | 17 | 12 | 2 | 3 | 36:14 | 22 | 38 | 9 | 8 | 0 | 1 | 24:6 | 18 | 24 | 8 | 4 | 2 | 2 | 12:8 | 4 | 14 |
| 3 მილანი | 17 | 12 | 1 | 4 | 39:18 | 21 | 37 | 8 | 8 | 0 | 0 | 23:6 | 17 | 24 | 9 | 4 | 1 | 4 | 16:12 | 4 | 13 |
| 4 ფიორენტინა | 17 | 11 | 3 | 3 | 32:17 | 15 | 36 | 9 | 8 | 0 | 1 | 21:10 | 11 | 24 | 8 | 3 | 3 | 2 | 11:7 | 4 | 12 |
| 5 ლივორნო | 17 | 8 | 4 | 5 | 17:19 | -2 | 28 | 9 | 5 | 2 | 2 | 9:7 | 2 | 17 | 8 | 3 | 2 | 3 | 8:12 | -4 | 11 |
| 6 კიევო | 17 | 7 | 6 | 4 | 20:19 | 1 | 27 | 8 | 4 | 3 | 1 | 10:6 | 4 | 15 | 9 | 3 | 3 | 3 | 10:13 | -3 | 12 |
| 7 სამპდორია | 17 | 7 | 4 | 6 | 27:23 | 4 | 25 | 8 | 4 | 3 | 1 | 16:11 | 5 | 15 | 9 | 3 | 1 | 5 | 11:12 | -1 | 10 |
| 8 რომა | 17 | 6 | 6 | 5 | 27:20 | 7 | 24 | 9 | 3 | 2 | 4 | 16:14 | 2 | 11 | 8 | 3 | 4 | 1 | 11:6 | 5 | 13 |
| 9 ლაციო | 17 | 6 | 6 | 5 | 21:22 | -1 | 24 | 8 | 5 | 3 | 0 | 15:8 | 7 | 18 | 9 | 1 | 3 | 5 | 6:14 | -8 | 6 |
| 10 უდინეზე | 17 | 7 | 2 | 8 | 18:23 | -5 | 23 | 9 | 4 | 1 | 4 | 8:6 | 2 | 13 | 8 | 3 | 1 | 4 | 10:17 | -7 | 10 |
| 11 პალერმო | 17 | 5 | 7 | 5 | 24:25 | -1 | 22 | 8 | 3 | 3 | 2 | 13:12 | 1 | 12 | 9 | 2 | 4 | 3 | 11:13 | -2 | 10 |
| 12 სიენა | 17 | 5 | 4 | 8 | 23:30 | -7 | 19 | 9 | 3 | 2 | 4 | 12:13 | -1 | 11 | 8 | 2 | 2 | 4 | 11:17 | -6 | 8 |
| 13 ემპოლი | 17 | 5 | 3 | 9 | 19:28 | -9 | 18 | 8 | 4 | 1 | 3 | 12:12 | 0 | 13 | 9 | 1 | 2 | 6 | 7:16 | -9 | 5 |
| 14 რეჯინა | 17 | 5 | 3 | 9 | 17:26 | -9 | 18 | 9 | 5 | 0 | 4 | 12:14 | -2 | 15 | 8 | 0 | 3 | 5 | 5:12 | -7 | 3 |
| 15 ასკოლი | 17 | 3 | 8 | 6 | 16:20 | -4 | 17 | 9 | 3 | 5 | 1 | 11:9 | 2 | 14 | 8 | 0 | 3 | 5 | 5:11 | -6 | 3 |
| 16 პარმა | 17 | 4 | 5 | 8 | 18:26 | -8 | 17 | 9 | 3 | 4 | 2 | 10:8 | 2 | 13 | 8 | 1 | 1 | 6 | 8:18 | -10 | 4 |
| 17 მესინა | 17 | 2 | 7 | 8 | 14:25 | -11 | 13 | 8 | 1 | 4 | 3 | 8:12 | -4 | 7 | 9 | 1 | 3 | 5 | 6:13 | -7 | 6 |
| 18 ლეჩე | 17 | 3 | 3 | 11 | 14:28 | -14 | 12 | 8 | 2 | 3 | 3 | 9:10 | -1 | 9 | 9 | 1 | 0 | 8 | 5:18 | -13 | 3 |
| 19 კალიარი | 17 | 2 | 6 | 9 | 14:28 | -14 | 12 | 8 | 2 | 5 | 1 | 7:6 | 1 | 11 | 9 | 0 | 1 | 8 | 7:22 | -15 | 1 |
| 20 ტრევიზო | 17 | 2 | 5 | 10 | 10:24 | -14 | 11 | 8 | 1 | 2 | 5 | 5:11 | -6 | 5 | 9 | 1 | 3 | 5 | 5:13 | -8 | 6 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ტონი (ფიორენტინა) | 16 |
| ტრეზეგე (იუვენტუსი) | 15 |
| ჯილარდინო (მილანი) | 11 |
| ადრიანო (ინტერი) | 10 |
| ბონაცოლი (სამპდორია) | 9 |
| შევჩენკო (მილანი) | 9 |
| ტოტი (რომა) | 9 |
| ტავანო (ემპოლი) | 9 |
| კიეზა (სიენა) | 9 |

**XVIII ტური**

7-8 იანვარი, 2006

კალიარი : უდინეზე
კიევო : ლეჩე
ემპოლი : მესინა
ლაციო : ასკოლი
მილანი : პარმა
პალერმო : იუვენტუსი
რეჯინა : ფიორენტინა
სამპდორია : ლივორნო
სიენა : ინტერი
ტრევიზო : რომა

## სერია B

XXI ტური

**ალბინოლეფე 2:2 კატანია**

1:0 ჟოელსონი (52), 1:1 გარლინი (74ს.კ.), 2:1 გორი (75), 2:2 კორე (90)

**აველინო 1:1 ტერნანა**

1:0 დანილევიჩუსი (31), 1:1 ფანასკა (90)

**ბრეშა 2:0 კროტონე**

| 23:00 | 163 | ტელსტარი-ჰელმონდი | 2.80 | 3.30 | 2.20 | 1.51 | 1.23 | 1.32 |
| 23:00 | 164 | ვეენდამი-მაასტრიხტი | 2.10 | 3.30 | 3.10 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| 23:00 | 165 | იგლსი-ალმერე | 1.65 | 3.40 | 4.60 | 1.11 | 1.21 | 1.95 |
| 23:00 | 166 | ექსელსიორი-ოსი | 1.35 | 4.20 | 6.80 | 1.02 | 1.12 | 2.59 |
| 23:00 | 168 | დენ ბოსხი-ზვოლე | 2.10 | 3.30 | 2.85 | 1.28 | 1.20 | 1.52 |

ჰოკეი. გერმანია

23 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 373 | დუისბურგი-ფრანკფურტი | 2.40 | 4.10 | 1.90 | 1.51 | 1.06 | 1.29 |
| 22:30 | 374 | კიოლნი-მანჰაიმი | 1.70 | 4.30 | 3.00 | 1.21 | 1.08 | 1.76 |
| 22:30 | 375 | აუგსბურგი-კასელი | 1.85 | 4.20 | 2.60 | 1.28 | 1.08 | 1.60 |
| 22:30 | 376 | დიუსელდორფი-ნიურნბერგი | 1.90 | 4.20 | 2.50 | 1.30 | 1.07 | 1.56 |
| 22:30 | 377 | აისბარენი-ჰამბურგი | 1.65 | 4.20 | 2.90 | 1.18 | 1.05 | 1.71 |
| 22:30 | 378 | ჰანოვერი-კრეფელდი | 1.90 | 4.20 | 2.50 | 1.30 | 1.07 | 1.56 |
| 22:30 | 379 | იზერლონი-ინგოლშტადი | 2.30 | 4.10 | 2.00 | 1.47 | 1.06 | 1.34 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. შვეიცარია

23 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 392 | ლუგანო-სერვეტი | 1.40 | 4.50 | 4.50 | 1.06 | 1.06 | 2.25 |
| 22:45 | 393 | ციურიხი-ფრიბურგი | 1.90 | 4.20 | 2.50 | 1.30 | 1.07 | 1.56 |
| 22:45 | 394 | რაპერსვილი-ბერნი | 2.35 | 4.00 | 2.05 | 1.48 | 1.09 | 1.35 |
| 22:45 | 395 | ამბრი-ბაზელი | 1.70 | 4.20 | 3.00 | 1.21 | 1.08 | 1.75 |
| 22:45 | 396 | კლოტენი-ლანგნაუ | 1.60 | 4.20 | 3.10 | 1.15 | 1.05 | 1.78 |

ჰოკეი. რუსეთი

23 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:30 | 405 | ავანგარდი-ნოვოკუზნეცკი | 1.30 | 5.00 | 5.20 | 1.03 | 1.03 | 2.54 |
| 19:30 | 406 | მვდ-დინამო | 2.90 | 4.50 | 1.65 | 1.76 | 1.05 | 1.20 |
| 19:30 | 407 | სევერსტალი-ს.იულაევი | 1.95 | 4.40 | 2.40 | 1.35 | 1.07 | 1.55 |
| 19:30 | 408 | აკ ბარსი-მოლოტი | 1.20 | 5.50 | 6.00 | 1.00 | 1.00 | 2.86 |
| 19:30 | 409 | ვიტიაზი-მაგნიტოგორსკი | 4.00 | 4.40 | 1.30 | 2.09 | 1.00 | 1.00 |
| 19:30 | 410 | ნეფტეხიმიკი-ცსკა | 2.10 | 4.30 | 2.30 | 1.41 | 1.09 | 1.49 |
| 20:00 | 411 | ხიმიკი-სიბირი | 1.45 | 4.60 | 4.10 | 1.10 | 1.07 | 2.16 |
| 20:00 | 412 | სპარტაკი-ლოკომოტივი | 3.00 | 4.30 | 1.65 | 1.76 | 1.06 | 1.19 |
| 20:00 | 413 | აკ-ლადა | 1.95 | 4.30 | 2.30 | 1.34 | 1.05 | 1.49 |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | ჩარლტონი-არსენალი | 5.40 | 2.10 | 2.00 | 1.51 | 1.45 | 1.02 |
| 10002 | ჩელსი-ფულემი | 1.35 | 2.60 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 1.89 |
| 10004 | ტოტენჰემი-ბირმინგემი | 1.90 | 2.20 | 5.50 | 1.01 | 1.41 | 1.57 |
| 10006 | უიგანი-სიტი | 2.85 | 2.00 | 3.10 | 1.17 | 1.48 | 1.21 |
| 10007 | მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი | 1.30 | 2.80 | 7.00 | 1.00 | 1.09 | 2.00 |
| 10009 | პორტსმუთი-ვესტ ჰემი | 2.80 | 2.00 | 3.20 | 1.16 | 1.49 | 1.23 |
| 10010 | მიდლსბრო-ბლექბერნი | 2.45 | 2.00 | 3.75 | 1.10 | 1.48 | 1.30 |
| 10011 | ლივერპული-ნიუკასლი | 2.00 | 2.10 | 6.00 | 1.02 | 1.50 | 1.55 |
| 10013 | სანდერლენდი-ბოლტონი | 4.60 | 2.00 | 2.20 | 1.39 | 1.48 | 1.04 |
| 10014 | ასტონ ვილა-ევერტონი | 2.50 | 2.00 | 3.70 | 1.11 | 1.49 | 1.29 |

# 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | ჩარლტონი-არსენალი | 7.00 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.30 |
| 11002 | ჩელსი-ფულემი | 1.40 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11004 | ტოტენჰემი-ბირმინგემი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11006 | უიგანი-სიტი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11007 | მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი | 1.40 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11009 | პორტსმუთი-ვესტ ჰემი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11010 | მიდლსბრო-ბლექბერნი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11011 | ლივერპული-ნიუკასლი | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11013 | სანდერლენდი-ბოლტონი | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11014 | ასტონ ვილა-ევერტონი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 5.00 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 12001 | ჩარლტონი-არსენალი | 1.90 | 1.70 |
| 12002 | ჩელსი-ფულემი | 1.90 | 1.70 |
| 12004 | ტოტენჰემი-ბირმინგემი | 1.70 | 1.90 |
| 12006 | უიგანი-სიტი | 1.70 | 1.90 |
| 12007 | მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი | 2.00 | 1.60 |
| 12009 | პორტსმუთი-ვესტ ჰემი | 1.70 | 1.90 |
| 12010 | მიდლსბრო-ბლექბერნი | 1.70 | 1.90 |
| 12011 | ლივერპული-ნიუკასლი | 1.70 | 1.90 |
| 12013 | სანდერლენდი-ბოლტონი | 1.70 | 1.90 |
| 12014 | ასტონ ვილა-ევერტონი | 1.70 | 1.90 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13001 | ჩარლტონი-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 13002 | ჩელსი-ფულემი | 2.00 | 1.60 |
| 13004 | ტოტენჰემი-ბირმინგემი | 1.70 | 1.90 |
| 13006 | უიგანი-სიტი | 1.70 | 1.90 |
| 13007 | მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი | 2.00 | 1.60 |
| 13009 | პორტსმუთი-ვესტ ჰემი | 1.70 | 1.90 |
| 13010 | მიდლსბრო-ბლექბერნი | 1.70 | 1.90 |
| 13011 | ლივერპული-ნიუკასლი | 1.70 | 1.90 |
| 13013 | სანდერლენდი-ბოლტონი | 1.70 | 1.90 |
| 13014 | ასტონ ვილა-ევერტონი | 1.70 | 1.90 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | ჩარლტონი-არსენალი | 2.40 | 1.40 |
| 14004 | ტოტენჰემი-ბირმინგემი | 1.30 | 2.50 |
| 14006 | უიგანი-სიტი | 1.80 | 1.90 |
| 14009 | პორტსმუთი-ვესტ ჰემი | 1.80 | 2.00 |
| 14010 | მიდლსბრო-ბლექბერნი | 1.70 | 2.20 |
| 14011 | ლივერპული-ნიუკასლი | 1.30 | 2.50 |
| 14013 | სანდერლენდი-ბოლტონი | 2.30 | 1.60 |
| 14014 | ასტონ ვილა-ევერტონი | 1.70 | 2.10 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | ჩარლტონი-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15002 | ჩელსი-ფულემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15004 | ტოტენჰემი-ბირმინგემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15006 | უიგანი-სიტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15009 | პორტსმუთი-ვესტ ჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | მიდლსბრო-ბლექბერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15011 | ლივერპული-ნიუკასლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15013 | სანდერლენდი-ბოლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15014 | ასტონ ვილა-ევერტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | ჩარლტონი-არსენალი | 3.20 | 1.25 |
| 16004 | ტოტენჰემი-ბირმინგემი | 1.20 | 3.30 |
| 16006 | უიგანი-სიტი | 1.60 | 1.90 |
| 16009 | პორტსმუთი-ვესტ ჰემი | 1.55 | 1.95 |
| 16010 | მიდლსბრო-ბლექბერნი | 1.40 | 2.30 |
| 16011 | ლივერპული-ნიუკასლი | 1.20 | 3.40 |
| 16013 | სანდერლენდი-ბოლტონი | 2.85 | 1.35 |
| 16014 | ასტონ ვილა-ევერტონი | 1.45 | 2.35 |

## გოლი:წყვილი-1 თუ კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | ჩარლტონი-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17002 | ჩელსი-ფულემი | 1.85 | 1.95 |
| 17004 | ტოტენჰემი-ბირმინგემი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | უიგანი-სიტი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი | 1.85 | 1.95 |
| 17009 | პორტსმუთი-ვესტ ჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | მიდლსბრო-ბლექბერნი | 1.85 | 1.95 |
| 17011 | ლივერპული-ნიუკასლი | 1.85 | 1.95 |
| 17013 | სანდერლენდი-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17014 | ასტონ ვილა-ევერტონი | 1.85 | 1.95 |

# ვინ არის მესამე?

## ტექნიკოსები ქიმიკოსების წინააღმდეგ





ოთარ ხმელიძის „აზოტი“ ნუგზარ ჭეიშვილის სტუ-ს წინააღმდეგ

**დღეს** მეორე წრე სრულდება და კალათბურთიც ვერის ბაღს გაისამდე დაემშვიდობება. ისე დაემთხვა, რომ ცხრილის სათავეში მყოფთა ვინაობა გარკვეულია და აღარ შეიცვლება — ზამთრის ჩემპიონი „თსუ-ნიკორაა“, მეორეადგილოსანი კი „ავიამშენი“. გასარკვევი მესამე ადგილის მფლობელია კანდიდატები კი სწორედ, დღეს ხვდებიან ერთმანეთს. მოიგებს სტუ და მესამე საფეხურზე შეხვდება ახალ წელს, თუ არადა, ამ ადგილს მისი დღევანდელი მეტოქე, რუსთავის „აზოტი“ დაეპატრონება.

გუშინ ამ გუნდების მწვრთნელ-მოთამაშეები კაფე „მსოფლიო სპორტში“ შეიკრიბნენ ტრადიციულ წინასამატჩო პრესკონფერენციაზე.

*ნუგზარ ჭეიშვილი, სტუ-ს მთავარი მწვრთნელი:*

— საკმაოდ მნიშვნელოვანი მატჩია, თუმცა, ჩემი აზრით, გამარჯვებას უფრო ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სპორტული. მთავარი ოთხეულში გასვლა და პლეი ოფში მოხვდრაა. მნიშვნელობა არ აქვს, მესამე ადგილს დაიკავებ თუ მეოთხეს. „აზოტი“ ჩვენი პრინციპული მეტოქეა და მისი დამარცხება დადებითად იმოქმედებს ჩვენი გუნდის განწყობაზე. გამარჯვებული მესამე ადგილზე გამაგრდება და პლეი ოფში გასვლის კარგ შანსს მოიპოვებს, დამარცხებულს კი მეტი საბრძოლო და სანერვიულო ექნება. ამიტომაც გამარჯვება ძალიან გვჭირდება.

— დაშავებულია მანუჩარ ნინუა, ალეკო ქისტაურს ჩუტყვავილა აქვს და ვერ დაგვეხმარება, დავით მურჯიკნელი კი ახალი გამოჯანმრთელებულია და მას მთელი დატვირთვით თამაში გაუჭირდება. ასევე გვაკლია რიჩარდ მათიაშვილი, რომელიც თურქეთში სათამაშოდ წავიდა. შესაბამისად, ფარზე პრობლემები მოგვიმრავლდა, მაღალი მოთამაშეების ნაკლებობას განვიცდით. ამ მხრივ ჩვენს ხვალინდელ მეტოქეს უკეთესი მდგომარეობა აქვს, რუსთაველებმა ახლახან სლოვაკეთში მოთამაშე დავით იმნაძე შეიმატეს.

*ოთარ ხმელიძე, „აზოტის“ მთავარი მწვრთნელი:*

— ხვალინდელ მატჩს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. სტუ-ს დამარცხებით მესამე ადგილზე გავმაგრდებით და თან ჩვენს გულშემატკივრებსა და სპონსორებს სტიმულს მივცემთ. მეტოქე საკმაოდ ძლიერია, რომელმაც რუსთავში კი დაგვამარცხა, მაგრამ ახლა რევანშის იმედი გვაქვს. ტრავმირებულია არჩილ ჟღენტი, რომელიც ერთი თვე ვერ ივარჯიშებს. სამაგიეროდ, მიხეილ ჭოჭუა დაგვიბრუნდა, რომელმაც ბატონები კი მოიხადა, მაგრამ ჩვეული ფორმისგან ჯერ შორსაა.

*რაკი ტექნიკოსთა თავკაცმა, ნუგზარ ჭეიშვილმა, მეფარეების პრობლემა გვაქვსო, დაიჩივლა, ჟურნალისტებს მწვრთნელებთან ლოგიკური კითხვა გაუჩნდათ...*

— დღე-დღეზე თბილისში ბაქოს „გალადან“ წამოსული ზვიად ბაბიაშვილი და ჟოლივეტ ტუჯანი ჩამოვლენ. ისინი ქართულ გუნდებში აპირებენ კარიერის გაგრძელებას და თქვენგან რომელიმე ხომ არ აპირებს მათ აყვანას?

— დღეს მოვისმინე, რომ ტუჯანი და ბაბიაშვილი თბილისში ბრუნდებიან — თქვა ნუგზარ ჭეიშვილმა — ჩვენ ძალიან გვინდა კარგი მეფარის შემატება, მაგრამ სურვილი ხშირად არ ემთხვევა შესაძლებლობას. ტუჯანი მირეკავდა, კითხულობდა ჩვენს ამბებს. მისი შემატების შესაძლებლობა რომ გვქონდეს, არც დავფიქრდებოდით, მაგრამ...

— ჯერ არც ერთ მათგანთან მოლაპარაკება არ გვქონია, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ ბაბიაშვილი, ან ტუჯანი, ან ორივე ერთად „აზოტში“ იხილოთ — განაცხადა ოთარ ხმელიძემ.

*ბოლოს მოთამაშეებმაც თქვეს ერთი-ორი...*

*შიო ხეცურიანი, სტუ-ს უკანახაზელი:*

— ბოლო ტურში ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერ „ავიამშენს“ ვხვდებოდით და ბოლო წამებზე თანასწორ ბრძოლაში დავმარცხდით. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი გუნდი თანდათან ფორმაში შედის და, იმედია, ეს პროცესი წარმატებით გაგრძელდება.

*იური დანელიანი, „აზოტის“ ცენტრალური თავდამსხმელი:*

— იმნაძის სახით, მართლაც, დიდი ძალა შეგვემატა. „აზოტს“ ფარქვეშ ძალიან უჭირდა და ახლა უკეთესი ვითარება გვაქვს. მე კარგად შევეწყვე იმნაძეს, რაც, იმედია, ჩვენი გუნდის შედეგზეც აისახება.

**ირაკლი პერტაია**

---

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ცქიტიშვილი ადგა

## ყინული დაიძრა, ბატონებო!

21 დეკემბერი

**მინესოტა 88:69 ნიუ ორლეანი**

**მინესოტა:** იარიჩი (10), ჰასელი (4), შჩერბიაკი (21), გარნეტი (19 ქულა, 9 პასი, 7 მოხსნა), ოლოვოკანდი (5 ქულა, 10 მოხსნა); მაკკანტსი (14), გრიფინი (6), ჰადსონი (6), **ცქიტიშვილი** (5 წუთი, 3 ქულა, 1 მოხსნა), დიუპრე (2), მადსენი, კარტერი

**ნიუ ორლეანი:** პოლი (15), სმიტი (2), მეისონი (4), ვესტი (11), ბრაუნი (6); ანდერსენი (8), ბატლერი (7), მასიაუსკასი (6), კლაქსტონი (5), სნაიდერი (5), ვრომენი, ლამპე

**ორლანდო 85:96 ნიუ ჯერსი**

**ორლანდო:** ჰილი (16), ფრენსისი (16), ჰოვარდი (14 ქულა, 15 მოხსნა), ბათი (13 ქულა, 10 მოხსნა)

**ნიუ ჯერსი:** კარტერი (32), ჯეფერსონი (18)

**ფილადელფია 111:100 გოლდენ სტეიტი**

**ფილადელფია:** აივერსონი (38), ვებერი (27), დალემბერტი (15), კორვერი (14 ქულა, 10 მოხსნა)

**გოლდენ სტეიტი:** რიჩარსდონი (24), მერფი (22), დევისი (16)

**ინდიანა 97:75 კლიპერსი**

**ინდიანა:** ჯექსონი (24), ტონსლი (17), გრეინჯერი (16), ონილი (15 ქულა, 11 მოხსნა, 6 დაფარება)

**კლიპერსი:** ბრენდი (29 ქულა, 12 მოხსნა), კამანი (13 ქულა, 16 მოხსნა), მობლი (13)

**ნიუ იორკი 96:109 სან ანტონიო**

**ნიუ იორკი:** კროუფორდი (16), მარბერი (14), ფრაი (14)

**სან ანტონიო:** ფინლი (19), პარკერი (18 ქულა, 10 პასი), დანკანი (13), ბერი (13)

**ბოსტონი 101:89 იუტა**

**ბოსტონი:** პირსი (30), დევისი (20), ვესტი (15), ბლუნტი (14)

**იუტა:** ოქური (23 ქულა, 11 მოხსნა, 7 პასი), ჰარპრინგი (19 ქულა, 10 მოხსნა), გირიჩეკი (14)

**მემფისი 89:79 პორტლენდი**

**მემფისი:** გასოლი (26 ქულა, 12 მოხსნა, 5 დაფარება), ბეტიე (15), მილერი (13)

**პორტლენდი:** დიქსონი (17), რენდოლფი (15), პატერსონი (15)

**ჰიუსტონი 81:94 ტორონტო**

**ჰიუსტონი:** ჰოვარდი (21 ქულა, 12 მოხსნა), ჰედი (20), ვესლი (13), მაკგრეიდი (7 ქულა, 11 პასი, 8 მოხსნა)

**ტორონტო:** ჯეიმსი (19), პიტერსონი (18), მოში (17)

**დენვერი 110:116 ვაშინგტონი**

**დენვერი:** ენტონი (29), კემბი (23 ქულა, 11 მოხსნა, 6 ჩაჭრა, 4 დაფარება), უოტსონი (17), მილერი (16 ქულა, 11 პასი)

**ვაშინგტონი:** არენასი (36 ქულა, 11 პასი, 4 ჩაჭრა), ჯემისონი (20 ქულა, 10 მოხსნა), ჰეივუდი (14)



ოდესღაც, როცა კევინ გარნეტის გუნდში არ იყო, ნიკა ცქიტიშვილი გაცილებით მეტ დროს ატარებდა მოედანზე

**ის**, რაც ძალიან, ძალიან, მთელი გულით და სულით გსურს, რაზეც ოცნებობ და რაც ღამეებს გატეხინებს, აუცილებლად აგიხდება. ნიკა ცქიტიშვილსაც ჰქონდა ერთი ოცნება — თუნდაც წუთით გასულიყო მოედანზე და, ჰა, ბატონო, აუხდა კიდეც.

მისი „მინესოტა“ შინ იოლად ამარცხებდა „ნიუ ორლეან-ოკლაჰომა ჰორნეტსს“, მატჩის ბედი შეხვედრის გასრულებამდე კარგა ხნით ადრე გადაწყდა და „ვულვზის“ მწვრთნელ დუეინ კეისის ბოლო მეოთხედში თვალი სათადარიგოთა საკამისკენ გაექცა.

ვერ გეტყვით, დიდი თეთრი ბიჭი შემთხვევით მოხვდა თვალში თუ ამასწნანდელი მისი ამბოხი ახსოვდა (მათამაშეთ ან სხვაგან გამიშვითო), კეისიმ ცქიტიშვილი მოიხმო და მოედანზე შეუშვა.

მართლაც ღირსშესანიშნავი ფაქტია, ერთ-ერთი გამორჩეული თანამედროვე ქართველი კალათბურთელის კარიერაში. ჩვენც ეს მოვლენა უფრო ზუსტად და დეტალურად დავაფიქსიროთ: ამჟამად „მინესოტა ტიმბერვულვზის“ განაცხადში მყოფი თავდამსხმელი ნიკოლოზ ცქიტიშვილი 2005-06 წლების რეგულარული ჩემპიონატის დაწყებიდან 51-ე დღეს, თავისი გუნდის 23-ე მატჩში, „ნიუ ორლეან ჰორნეტსთან“ შეხვედრის დამთავრებამდე 5 წუთით და 1 წამით ადრე პირველად შევიდა მოედანზე ედი გრიფინის ნაცვლად... მგონი, არაფერი გამოგვრჩა... ჰო, მისი გუნდი ამ დროს 81:58 იგებდა.

ამდენი ხნის უთამაშებლობა და სკამზე ჯდომა უკვალოდ ხომ არ ჩაივლიდა, ნიკამ სრულად ვერ წარმოაჩინა თავისი შესაძლებლობები, მაგრამ ტყუილადაც არ ურბენია მოედანზე. მან ააცილა პირველი ორი ნახტომში ნატყორცნი, შემდეგ კი ერთი ორქულიანიც ჩააგდო და ორიდან ერთი საჯარიმოც გამოიყენა, ერთხელ ფრაზე ბრძოლა მოიგო და ერთხელ ბურთიც დაკარგა. 3 ქულა და ეს ყველაფერი ბევრი არაფერია, მაგრამ რას ვიზამთ, სულ არაფერს ხომ ჯობია. მთავარია, რომ ყინული დაიძრა, ბატონებო, და ნიკა ცქიტიშვილი ადგა.

ახლა დღის სხვა მნიშვნელოვან მოვლენებზეც: მას აქეთ, რაც ლიდერი ტრეისი მაკგრეიდი მოუჯანმრთელდა, „ჰიუსტონ როკიტსმა“ ბევრი ყოჩაღი გუნდი დასცა, 9 თამაშიდან 7 მოიგო და ცხრილის ფსკერიდანაც დაიძრა. მაგრამ უფერული დღეები ცქიტიშვილს კი არა, ყველაზე კაშკაშა მზე-ვარსკვლავებსაც აქვთ და მაკგრეიდიმაც გამოურია ერთი ასეთი. უბადრუკ „ტორონტოსთან“ მან მთელი 44 წუთი კი ითამაშა, მაგრამ 10 ქულასაც ვერ მოუყარა თავი. ტორონტოული კომპლექსი აქ არაფერ შუაში უნდა იყოს (მაკიმ ხომ სწორედ ამ გუნდში დაიწყო კარიერა თავის ბიძაშვილ ვინს კარტერთან ერთად), უბრალოდ, მეტოქეებმა დაცვაში ყურადღებით ითამაშეს, ტრეისის ორი მუდმივი მეურვე მიუჩინეს და ესეც დაიჩრდილა. „ჰიუსტონს“ კი სხვა ისეთი არავინ ჰყავს, მაკგრეიდი სრულფასოვნად შეცვალოს. თან ისიც მოგეხსენებათ, ვება იაო მინი დამტვრეულია.

**ბოტე ყორშია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილიარდი

# პირველმა აბსოლუტურშიც იპირველა

## საბილიარდო სეზონი ხმალაძემ დახურა



დავით ალექსიძე

**გუშინ** საბილიარდო „იმპერია-ლში" დასრულდა საქართველოს აბ-სოლუტური ჩემპიონატი. ჩემპიონის ტიტულისთვის ქართულ რეიტინ-გში საუკეთესო სამეულში მყოფი მობილიარდეები ჩაერთნენ. ორგანი-ზატორთა გადაწყვეტილებით, ნა-ხევარფინალში მეორე-მესამე ნომ-რებმა, თბილისელმა გურამ ჭოლო-შვილმა და ბათუმელმა დავით ფი-ფიამ ითამაშეს. პირველი ნომერი პაატა ხმალაძე კი გამარჯვებულს ფინალში ელოდა.

ტურნირი რუსული პირამიდის სამ სახეობაში ჩატარდა, თუმც, ბი-ლიარდის თავკაცთა გადაწყვეტი-ლებით, ტერმინი — რუსული და ამერიკული ბილიარდი გაუქმებუ-ლია. მიზეზი მარტივია, სპორტის ეს სახეობა ოლიმპიურ თამაშებზე მოხვედრის რეალური კანდიდატია და ქვეყნების დასახელება ზედმე-ტად მიიჩნიეს.

ჭოლოშვილი და ფიფია პირამიდა-ში, კომბინირებულსა და კლასიკუ-რში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. თუკი რომელიმე ორ სახეობაში იმა-რჯვებდა, თამაში ვადაზე ადრე წყ-დებოდა. ნახევარფინალი დაძაბული გამოდგა და დაახლოებით ოთხ სა-ათს გასტანა. გადამწყვეტ სახეობა-ში ფიფიამ იმარჯვა.

ფინალი გაცილებით ნაკლებ დრო-ში დასრულდა, მაგრამ თამაშის სა-ნახაობრივი მხარე აშკარად უფრო მაღალი იყო. საქართველოს მრავა-ლგზის ჩემპიონმა ხმალაძემ კლასი-კურსა და კომბინირებულში მოამ-თავრა საქმე.

*ტურნირის შემდეგ საბილიარდო სეზონი ფედერაციის პრეზიდენტმა დავით ალექსიძემ დახურა:*

— აბსოლუტური ჩემპიონატი წლის შემაჯამებელი ტურნირი იყო და მოხარული ვარ, რომ უმაღლეს დონეზე ჩატარდა. ამ სამეულს თე-ბერვლიდან საერთაშორისო ტურნი-რებში მოუწევს თავისი ძალის და-მტკიცება, მანამდე კი კარგად უნდა მოემზადონ. უკვე გადაწყვეტილია, რომ ხმალაძე 20 იანვარს მოსკოვში გაემგზავრება და იქ ივარჯიშებს. ტურნირებზეც საქართველოს სახე-ლით სწორედ რუსეთიდან ივლის ივა არჩვაძესთან ერთად. ეს უკანა-სკნელი ქართულ რეიტინგში ჯერ არ შესულა, რადგან აქაურ ტურნი-რებზე არ უთამაშია. არჩვაძე 25 წლისაა და ახლახან რუსეთში გა-მართული კომერციული ტურნირის ფინალში მსოფლიოს ორგზის ჩემ-პიონ სტალევს მოუგო, ხმალაძე კი მასზე ორი წლით უმცროსია. ასე რომ, ძალიან კარგი თაობა წა-მოვიდა.

**ოთარ მაღლაკელიძე**

კრივი

# ვალუევისკენ ყველანი მუშტებით მიიწევენ

**რუს** ნიკოლაი ვალუევზე, რო-მელმაც WBA ვერსიით სულ ახ-ლახანს მოიპოვა მსოფლიოს ჩემ-პიონის ტიტული, უკვე დიდი მო-თხოვნილებაა. მასთან ბრძოლა ლა-მის ყველას სწადია — დაწყებუ-ლი აშკარად სუსტი პოლონელი ანჯეი გოლოტადან და დამთავრე-ბული რინგიდან კარგა ხნის წასუ-ლ ვეტერან ევანდერ ჰოლიფილდით.

პოლონელი მოკრივე, რომელიც ოთხჯერ იბრძოდა სხვადასხვა ვერსი-ით მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის-თვის, იმედოვნებს, რომ სწორედ ის გახდება ვალუევთან სავალდებულო ბრძოლის პრეტენდენტი. 37 წლის მოკრივეს თავის კარიერაში დაგრო-ვებული 46 ბრძოლიდან 38-ში გაუმა-რჯვია, მათ შორის 31-ჯერ ნოკაუტით, ხოლო ექვსჯერ მარცხი იწვნია, ერთხელ კი ფრედ დაამთავრა შეხვედრა

შარშან ამ დროს გოლოტა შე-ხვდა კრივის საერთაშორისო ფედე-რაციის (IBF) ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონ კრის ბერდს. ეს შეხვედრა ფრედ დასრულდა: ერთმა არბიტრმა გამარჯვება ბერდს მიაკუთვნა, მეო-რემ — გოლოტას, ხოლო მესამემ ძალთა თანაფარდობა დააფიქსირა.

შარშან ნოემბერში WBA-ის ვე-რსიით სატიტულო ბრძოლისთვის გოლოტა ამ ინფორმაციით ქამრის მფლობელ ჯონ რუისს შეებრძო-ლა. საკმაოდ უფერული შეხვედრა ჩემპიონის ქულების გამარჯვებით დასრულდა. მაშინ სამივე მსაჯმა გამარჯვება ამერიკელს მიაკუთვნა.

წლეულს მაისში გოლოტა შე-ხვდა მსოფლიოს საკრივო ორგა-ნიზაციის (WBO) ვერსიით ჩემპი-ონ ლეიმონ ბრიუსტერს. იმ საღა-მოს პოლონელმა რინგზე მხოლოდ 52 წამი გაძლო ფეხზე მდგომმა. რის შემდეგაც მსაჯმა ბრძოლა შე-წყვიტა და გამარჯვება ბრიუსტერს ტექნიკური ნოკაუტით მიაკუთვნა.

ანჯეი გოლოტას ერთი უბედუ-რება სჭირს. იგი საკმაოდ ხშირად თავის მეტოქეებს წელს ქვემოთ ურტყამს. ამის გამო იგი რიდიკ ბო-უს წინააღმდეგ ბრძოლებისას ორ-ჯერ დისკვალიფიკაციით დასაჯეს.

და აი, გოლოტამ გადაწყვიტა კი-დევ ერთხელ გამოსცადოს საკუ-თარი ბედი, ამჯერად ვალუევთან, ბრძოლაში.

„ეს მთასთან ბრძოლას დაემსგა-ვსება — ამბობს პოლონელი — ამ ნაკლებად ცნობილმა რუსმა რუ-ისი დაამარცხა. ესე იგი იგი საკ-მაოდ ძლიერი მებრძოლია. თუმცა, ჩემი მონაცემებით, ჯონ რუისი მსა-ჯებმა დაჩაგრეს".

ნიკოლაი ვალუევს მასთან ბრ-ძოლის კიდევ ერთი მსურველი, გა-მოეცხადა. ეს გახლავთ 43 წლის ამერიკელი ევანდერ ჰოლიფილდი, როგორც ეს ვეტერანი მოკრივე ამბობს, მას სრულებითაც არ აში-ნებს „ვალუევის გაბარიტები".

„ვიმედოვნებ, მასთან ბრძოლის შესაძლებლობა მომეცემა. ეს კა-რგი ბრძოლა გამოვიდოდა" — თქვა ჰოლიფილდმა.

შეგახსენებთ, რომ ჰოლიფილდს ბოლო 3 ბრძოლაში ასევე არ გაუ-მართლა. 2002-დან 2004 წლამდე მან კრის ბედისგან, ჯეიმს ტოუნი-სგან და ლერი დონალდისგან ძლი-ერი დარტყმების სიმწარე იწვნია.

ასე რომ, რუსთან ჰოლიფილდის შეხვედრის პერსპექტივა ასევე სა-თუოდ გვესახება.

სათვალავიდან არ უნდა ჩამოვ-წეროთ თავად რუისი, რომელიც მატჩრევანშისთვისაა განწყობილი. გამორიცხული არაა, რომ ვალუე-ვთან ბრძოლა მოისურვოს სხვა ვე-რსიებით ჩემპიონებმა: ლეიმონ ბრი-უსტერმა (WBO), ჰასიმ რაჰმანმა (WBC) და კრის ბერდმა (IBF). დღე-ისთვის მხოლოდ ერთი რამაა ნათე-ლი, რუსი თავის მომდევნო ბრძო-ლას ალბათ ამერიკეში გამართავს.

არაოფიციალური წყაროების მი-ხედვით, რუსის მომდევნო ოთხი ბრძოლის ორგანიზებაზე უფლებათა ნახევარს თვით დონ კინგი ფლობს.

ამასობაში რაჰმანი და ამ ტიტუ-ლის მაძიებელი ტოუნი, რომლებიც ორშაბათს მექსიკის სასტუმროში ერთმანეთს შეხვდნენ, დიდი შეხლა-შემოხლის შემდეგ ძლივს დააწყნა-რეს. მაშინ ტოუნი ფოიეში იყო და ტელეჟურნალისტებთან საუბრობდა. სწორედ იმ დროს იქ რაჰმანი გა-მოჩნდა. ერთმანეთი რომ დაინახეს, მოკრივეებმა სიტყვიერი თავდასხმა მოაწყვეს. მერე კი მუშტებიც დაა-ტრიალეს და მათი გაშველება მხო-ლოდ 15 წუთის შემდეგ შეძლეს.

როგორც ამბობენ, ამ ჩხუბში არ-ცერთი მხარე არ დაშავებულა.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

ჩოგბურთი



მარიანო პუერტასთვის ეტყობა ჩოგბურთი დამთავრდა

# კარგი ადამიანის ცუდი ამბავი

## მარიანო პუერტას რვაწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს

**მკაცრად** დასაჯა ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ITF) არგენტინელი ჩოგბურთელი მარი-ანო პუერტა, რომელიც აკრძალულ პრეპარატებს ვერ შეელია.

დღეს არსებული წესებით, დო-პინგკონტროლის მეორეჯერ ჩაგ-დების შემდეგ ნებისმიერი ჩოგბუ-რთელი სამუდამო დისკვალი-ფიკაციით ისჯება. თუმც ეს წესი არ იყო ძალაში, როცა არგენტინე-ლი პირველად ამხილეს და ამი-ტომაც რვა წელი აკმარეს.

ასეა თუ ისე, 27 წლის პუერტა-სთვის ეს მაინც სამუდამო დისკ-ვალიფიკაციის და საჩოგბურთო კა-რიერის დასასრულის ტოლფასია.

პუერტას სისხლში კარდიოლო-გიური სტიმულატორი ეტილეფრი-ნი აღმოჩნდა. ანალიზი წლეულს, საფრანგეთის ღია პირველობის ფი-ნალის შემდეგ აუღეს, როცა მარი-ანომ რაფაელ ნადალთან შეხვედრა დათმო.

არგენტინელმა დოპინგ-ტესტი პი-რველად 2003 წელს ჩააგდო. მა-შინ მის სისხლში კლენბუტერო-ლი აღმოაჩინეს და ცხრთვიანი დი-სკვალიფიკაცია მიუსაჯეს. პუერტამ ამ იძულებითი შესვენების შემდეგ მაინც მოიკრიფა ძალები და ჩოგ-ბურთში დაბრუნდა. მან წლეულს შესანიშნავი სეზონი ჩაატარა და შემაჯამებელ ტურნირზე — შან-ხაიში, მასტერსის თასზეც იასპა-რეზა. და აი, მორიგი დისკვალი-ფიკაცია, რომელიც მას კარიერის დასრულებად დაუჯდება.

ITF-ს განაჩენი იმანაც ვერ შეა-მსუბუქა, რომ, როგორც ჩანს, ჩო-გბურთელის სისხლში აღნიშნული პრეპარატი შემთხვევით მოხვდა. ცნობილი გახდა, რომ ამ პრეპა-რატს პუერტას ცოლი, ჰიპერტო-ნიისგან განსაკურნად იღებს, მაგრამ ეს ვერსია სერიოზულად არავის განუხილავს.

პუერტა აცხადებს, რომ მას შე-გნებულად არავითარი პრეპარატი არ მიუღია, მაგრამ... მისი საფრან-გეთის ღია პირველობაზე მიღწეუ-ლი შედეგი უკვე გაუქმებულია, ხოლო მოგებული თანხა (დაახლო-ებით 330 000 დოლარი) უკან დას-აბრუნებელი. თუმც პუერტას სა-ხელი, როგორც 2005 წლის საფ-რანგეთის ღია პირველობის ფინა-ლისტისა, რეკორდების წიგნში მა-ინც დარჩება.

არგენტინელს შეუძლია, სამი კვი-რის ვადაში გაასაჩივროს ეს განა-ჩენი. თვითონ პუერტამ თქვა, რომ ახალ წლამდე არაფრის გაკეთე-ბას არ აპირებს, ITF კი ემზადება, რადგან დარწმუნებულია, რომ ჩო-გბურთელი სპორტულ საარბიტრა-ჟო სასამართლოს მიმართავს.

აღნიშნულ საკითხზე კომენტა-რი გააკეთა არგენტინის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ენრიკე მორეამაც:

„საშინელი ამბავია, რადგანაც მა-რიანო კარგი ადამიანია და მისთვის ეს ძნელი გადასატანი იქნება. მათ (ITF) პუერტას კარიერა დაუნგრი-ეს".

ისე, დოპინგ-სკანდალი არგენტი-ნული ჩოგბურთისთვის ახალი არაა. აქამდე აკრძალული პრეპარატების მოხმარებაში ეჭვმიტანილნი იყვნენ გილერმო კორია, ხუან-იგნასიო ჩე-ლა და გილერმო კანასი, თუმც მათ ეს არ დაუმტკიცდათ. მარიანო ჰუდს კი საერთოდ ნარკოტიკის კვალი აღმოუჩინეს სისხლში.

**კახა ლომაშვილი**

ჰოკეი

# რეგულარული ჩემპიონატი



AFP ნიუ იორკიდან

მარტინ ბროდოს (№30) მაიკ იორკმა (№16) და მისმა „აილენდერსმა“ მეოთხეჯერ „არ მოაგებინა“

# ბატერფლაი ყინულზე

21 დეკემბერი

**აილენდერსი 4:2 ნიუ ჯერსი**

*1:0 1:1 2:1*

**1:0 ბლეიკი (3), 1:1 პარიზე (28), 2:1 იორკი (29), 3:1 პანტერი (45), 3:2 მარტინი (50), 4:2 პანტერი (55)**

**როგორც** გაცხადდა, რომ მარტინ ბროდო კანადის ოლიმპიური გუნდის შემადგენლობაში მოხვდა, „ნიუ ჯერსის“ მეკარემ პირველივე მატჩი ჩააფლავა. „აილენდერსთან“ გაშვებული გოლებიდან მინიმუმ ორი მის კისერზეა... სამაგიეროდ, რიკ დიპიეტრომ, ორი დღის წინ „ტორონტოსთან“ შერცხვენილმა, საუცხოოდ იასპარეზა და 25 დარტყმა მოიგერია. მისმა თანაკლუბელმა და ასევე აშშ-ის ნაკრების წევრმა ჯეისონ ბლეიკმა, ტრავმის შემდეგ დაბრუნება გოლით და ორი პასით აღნიშნა.

**ჩიკაგო 1:6 ნეშვილი**

*1:2 0:2 0:2*

**0:1 სუტერი (14), 1:1 ბარნაბი (15), 1:2 პერო (19), სალივანი (23), 1:4 ფიდლერი (29), 1:5 კარია (46), 1:6 კარია (57)**

**რუსების** მთავარი იმედი „ჩიკაგოელი“ მეკარე, ნიკოლაი ხაბიბულინი, ნაკრების შემადგენლობის გამოცხადებამდეც სცოდავს. ისე, წინა სეზონში „ტამპას“ რიგებში გაჩემპიონებულ მეკარეს წლეულს „ქორების“ რიგებში გადასვლა აშკარად არ მოუხდა. ლიგის ყველაზე ძვირადღირებული მეკარე (27 მილიონი 4 წელიწადში) აბსოლუტურად არ ამართლებს მასზე გაცემულ ფინანსებს. მისდა სამწუხაროდ, მატჩის წინ „ნეშვილის“ თავკაცებმა „ანტიხაბიბულინური“ გეგმაც კი გამოიმუშავეს და გადაწყვიტეს, რომ ნიკოლაისთვის ზედა კუთხეებში დაერტყათ. გეგმამ 100 პროცენტით გაამართლა და თითქმის ყველა შაიბა „ცხრიანებში“ შეაგდეს.

„ის ბატერფლაის“ სტილის მეკარეა, რაც მასთან ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა“ — თქვა ნამატჩევს „ნეშვილის“ ფორვარდმა ვერნონ ფიდლერმა.

**ვანკუვერი 6:7 ედმონტონი**

*2:2 3:3 1:2*

**0:1 ჰარვი (4), 1:1 ბერტუცი (12), 2:1 რიპიენი (15), 2:2 ჰორკოფი (17), 3:2 რუუტუ (22), 3:3 პემსკი (23), 4:3 ჰ. სედინი (24), 4:4 პეკა (26), 5:4 მორისონი (27), 5:5 ტორესი (30), 5:6 რ. სმიტი (50), 5:7 რიზონერი (52), 6:7 დ. სედინი (60)**

**ზედიზედ** ორი მატჩია „ედმონტი“ არაჩვეულებრივ სანახაობით ატკბობს გულშემატკივრებს. ამას წინათ „მენავთობეებმა“ „კალგარისთან“ კატათაგვობანა მოაწყვეს და დიდი წვალების მიუხედავად, ბოლოს მაინც იმარჯვეს. ამჯერად სტუმრებმა უფრო მეტი ინტრიგა შეიტანეს თამაშში. „ვანკუვერი“ ოთხჯერ(!) გავიდა წინ, მაგრამ „ედმონტონმა“ ოთხჯერვე გაათანაბრა, ბოლო პერიოდში კი თავად იგდეს ინიციატივა ხელთ და ბოლომდე შეინარჩუნეს.

**კალგარი 2:5 ლოს ანჯელესი**

*2:0 0:1 0:4*

**1:0 ლენგკოუ (4), 2:0 იგინლა (19), 2:1 კამალერი (22), 2:2 კამალერი (45), 2:3 ჯულიანო (45), 2:4 დემიტრა (54), 2:5 კოსტოპულოსი (59)**

**კოლუმბუსი 3:5 დალასი**

*1:0 2:2 0:3*

**1:0 ბალაშტიკი (15), 1:1 ბუშე (25), 2:1 ნეში (37), 2:2 მოდანო (39), 3:2 რაპი (40), 3:3 ბუშე (41), 3:4 ბარნსი (42), 3:5 ბარნსი (45)**

**ანაჰაიმი 6:3 სენტ ლუისი**

*4:1 1:1 1:1*

**1:0 სელიანე (3), 1:1 მაკამონდი (4), 2:1 მაკდონალდი (8), 3:1 პოლსონი (10), 4:1 რაიტი (12), 5:1 მაკდონალდი (24), 5:2 უაიდმენი (35), 5:3 მაკლემენტი (46), 6:3 დიპენტა (47)**

**სამველ ლარიბიანი**

# კანადა კროსბის გარეშე

**ტოდ ბერტუცი** ოლიმპიურ ნაკრებშია, სინდი კროსბი კი — არა. აი, ასეთი სენსაციური ამბავი მოგვიტანა ოთხშაბათს კანადის ეროვნული გუნდის მესვეურების მიერ გამოცხადებულმა შემადგენლობამ. და ეს მაშინ, როცა სეზონის დაწყებისთანავე ყველა კროსბიზე ალაპარაკობდა და ვინ იფიქრებდა, რომ იგი ოლიმპიადაზე ვერ მოხვდებოდა.

„ჩვენი შემადგენოლობა მხოლოდ ოსტატობაზე კი არა, გამოცდილებაზეცაა აწყობილი, ამიტომაც ვერ მოხვდა კროსბი ნაკრებში. რა თქმა უნდა, კროსბის ეს ეწყინებოდა, მაგრამ ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ კანადას უამრავი ტალანტი ჰყავს, მისი დრო კი ნამდვილად მოვა“ — თქვა ნაკრების ერთ-ერთმა მეთაურმა სტივ ტაბელინიმ.

ბერტუცის დიდი გამოცდილება აქვს — ის საერთაშორისო შეჯიბრებების არაერთგზის მონაწილეა. ორი წლის წინანდელი ინციდენტის შემდეგ, როცა ტოდმა ყინულზე ლამის მოკლა კოლორადოელი სტივ მური, ამ ფაქტს ემოციური ელფერიც დაჰკრავს.

„ჩვენ ვამაყობთ, რომ ბერტუცი ნაკრებში მოხვდა. ვფიქრობ, კანადის ღირსების დაცვა გარკვეულწილად მის პატიებასაც ნიშნავს“. — თქვა გუნდის კიდევ ერთმა მესვეურმა კევინ ლოუმ.

დანარჩენი შემადგენლობაც იმას ცხადყოფს, რომ კანადამ ამჯერად აქცენტი გამოცდილებაზე გააკეთა. ახალი თაობის ვარსკვლავებიდან მასში მხოლოდ კოლუმბუსელი რიკ ნეში მოხვდა, მაშინ, როცა წლეულს ბრწყინვალედ მოასპარეზე ერიკ სტაალი („კაროლინა“) და ჯეისონ სპეცა („ოტავა“) რეზერვში დარჩნენ.

*მეკარეები: მარტინ ბროდო („ნიუ ჯერსი“), რობერტო ლუონგო („ფლორიდა“), მარტი ტურკო („დალასი“);*

*მცველები: რობ ბლეიკი („კოლორადო“), ადამ ფუტი („კოლუმბუსი“), ედ ჟოვანოვსკი („ვანკუვერი“), სკოტ ნიდერმაიერი („ანაჰაიმი“), კრის პრონგერი („ედმონტონი“), უეიდ რედენი („ოტავა“), რობინ რეჯე („კალგარი“);*

*ფორვარდები: ჯო საკიკი („კოლორადო“, გუნდი კაპიტანი), ტოდ ბერტუცი („ვანკუვერი“), ჯერომ ივინლა („კალგარი“), რაიან სმიტი („ედმონტონი“), სიმონ განიე („ფილადელფია“), დანი ჰიტლი („ოტავა“), ვენსან ლეკავალიე („ტამპა“), ბრედ რიჩირდსი („ტამპა“), მარტენ სან ლუი („ტამპა“), კრის დრეიპერი („დეტროიტი“), შეინ დოუნი („ფინიქსი“), რიკ ნეში („კოლუმბუსი), ჯო ტორნტონი („სან ხოსე“).*

**სამველ ლარიბიანი**

ცურვა

# შნაიდერმა, რეკორდი გამიუქმეთო

**მოსკოვის** ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში გერმანელმა პეტრა შნაიდერმა ითხოვა ჩემს მიერ იქ დამყარებული მსოფლიოს რეკორდი (4.36,10) გაუქმეთო.

შნაიდერმა აღიარა, რომ მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებზე დოპინგის დახმარებით დავამყარე მსოფლიოს რეკორდი, რომელიც დღემდე საუკეთესოდ რჩებაო.

ოლიმპიზმი

# ტურინის უზადო ყინული

**საციგურაო,** რომელზეც ტურინის ზამთრის ოლიმპიური თამაშების პროგრამით გათვალისწინებული ფიგურულ მოციგურავეთა შეჯიბრება უნდა გაიმართოს, უზადოა და მას ვერავითარი ხინჯი ვერ ვუპოვეთო, თქვა რუსმა მსოფლიოს ჩემპიონმა ყინულზე ცეკვებში ტატიანა ნავკამ.

„მე ჩემს პარტნიორ რომან კოსტომაროვთან ერთად ეს ყინული ევროპის ჩემპიონატის მსვლელობისას წლეულს იანვარში გამოვცადეთ და არავითარი უარყოფითი რეაქცია არ გვქონია. ოლიმპიური საციგურაო მართლაც ძალიან კარგია. ერთადერთი პრობლემა ის იყო, რომ ნაგებობაში, სადაც სპორტსმენები მოთელვას აკეთებენ, საკმაოდ ციოდა. სხვა მხრივ ყველაფერი უმაღლეს დონეზე იყო.

ტურინში გულშემატკივრებიც კეთილმოსურნედ გვხვდებოდნენ — დასძინა ტატიანა ნავკამ.

ბიატლონი



# უში დიზლი გერმანიის წლის საუკეთესო სპორტსმენი ქალია

**გერმანელი** ბიათლონისტი უში დიზლი გერმანიის წლის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს.

შეგახსენებთ, რომ წლეულს მან მსოფლიოს ჩემპიონატზე ორი ოქროს მედალი მოიპოვა — სპრინტში და გამოდევნებაში.

საინტერესო კი ისაა, რომ დაჯილდოების ცერემონიალზე მისულმა დიზლმა ყველა განაცვიფრა. ეს არცაა გასაკვირი. იგი აქამდე ყველას სათხილამურო კომბინიზონში გამოწყობილი და ზურგზე შაშხანამოკიდებული ენახა, ის კი საზოგადოებას ნახევრადშიშველი წარუდგა და ყველას პირი დაალებინა.

გამოკითხვაში, რომელშიც 1300 სპორტული ჟურნალისი მონაწილეობდა, დიზლმა მნიშვნელოვნად გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ ციგურებით მორბენალ ანი ფრიზინგერს, მესამეზე კი ბადროს მტყორცნელი ფრანკე დიტცში გავიდა.

**ბაჩა ლომაშვილი**

# მარიას მოგზაურობა

გრძელდება მარია შარაპოვას მოგზაურობა იაპონიაში, რაც მისგან გაკვეთილების ჩატარებას, ხალხთან შეხვედრებს და სხვა სასიამოვნო რამეებს მოითხოვს. შარაპოვა კორტზეცაა და ოსაკის ბავშვთა ჰოსპიტალშიც.





AFP

# დიდი კაცის პატივსაცემად

ერთი კვირის წინ გარდაიცვალა დიდი ფრანგი მორაგბე, ნაკრების კაპიტანი და მწვრთნელი ჟაკ ფურო. კათედრალთან მისი ხსოვნის კუთხე სავსეა ყვავილებით.



AFP



AFP

# შობის გოგონები

შობის დღე დგება და გასაკვირიც არაა: ჰოკეის ეროვნული ლიგის ყინულებზე, აბჯარასხმული მოთამაშეებს გვერდით ცქრიალა ფანტელებიც დალივლივებენ. ეს ჩირლიდერები ნიუ იორკის „ნასოო კოლიზეუმის" თვალს აძლობენ, სადაც იქაური „აილენდერსი" ნიუ ჯერსელ „ეშმაკებს" ამარცხებს.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა პუზელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, სოსო კოტორაშვილი, ლადო ხიმერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოვრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge